# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 8 მაისი, 2012 წელი.

№85 (6962)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## გთხოვთ, ჩააშარდოთ ნახვრეტში!..

ანუ თურმე როგორ ცდებოდა რვა საუკუნის წინათ საქართველოს ყველა დროის უპირველესი მეფე!

3



## „ბატონ ბიძინას მთელი ოპოზიციის გაერთიანება შეეძლო“...

2

## როდესაც ქვეყანა ხელიდან გვეცლება

5

არა გვაქვს მორალური უფლება, შორიდან შევყურებდეთ მოვლენების განვითარებას!



## უგულავა ავტობუსიდან „მარშრუტკაში“ გადაჯდა

3

## მთავრობის აგრესიული ნაბიჯები,

ანუ პრივატიზებიდან – ბუნების განადგურებამდე

7



## განტევების გენერალი

აფხაზეთში ეჭვი ეპარებათ, რომ ანქვაბზე თავდასხმა შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა შეუკვეთა

8



## ხელისუფლებაზე მეტად ჰოლანდიური ფონდი უნდა ზრუნავდეს ეკლესიისთვის?!

სოფელს ალავერდი სჭირდება, ალავერდს – მრევლი

5



ბრიფინგი

# ბატონ ბიძინას მთელი ოპოზიციის გაერთიანება შეეძლო...

## ნინო ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილს, ხელისუფლების მხრიდან რეალური საფრთხის არსებობის ჟამს, საზღვრის დატოვებაში დაეხმარება

**Presage.tv-ის მედიაკლუბში გამართულ ბრიფინგზე „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ წარმოუდგენელია საქართველოში ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ეგონოს, რომ იგი თანამშრომლობს ხელისუფლებასთან.**

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ, რომ გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტმა მისი სიტყვების ინტერპრეტირება მოახდინა, უწინარესად, ის ადამიანები ჩააგდო უხერხულ მდგომარეობაში, ვინც გაზეთში მასალების დაბეჭდვის შემდეგ, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ განაცხადა.

„დღეს გაცილებით უხერხულად გრძნობენ თავს ის ადამიანები, რომლებიც გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას გამოეხმაურნენ და ცდილობდნენ, საკუთარი კოალიციის ლიდერისთვის ასე ეამებინათ“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

**„ჩვენ გვინდოდა, 26 მაისი გვექცია ყველა იმ ადამიანის სოლიდარობის დღედ, ვინც სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვის და ვინც სააკაშვილის ხელისუფლების გამო დაიღუპა. თუმცა სამწუხაროა, რომ, ჯერჯერობით, ეს ვერ ხერხდება. მით უფრო, სამწუხაროა, რომ გადაიდო 26 მაისისთვის დაგეგმილი როგორც ჩვენი, ისე „სახალხო კრების“ და ასევე „ქართული ოცნების“ ღონისძიებაც“,** — განაცხადა ბურჯანაძემ.

„ჩვენ გვსურდა, „სახალხო კრების“ 30 ათასი მომხრის შეკრების გახსენება, ვინც აქტიურად მონაწილეობდა მაისის აქციებში“, — ბურჯანაძემ დასძინა ისიც, რომ შექმნილმა სიტუაციამ ხელისუფლებას შესაძლოა მისცეს იმის თქმის შესაძლებლობა, რომ ოპოზიცია სოლიდარული არ არის.

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერის თქმით, 26 მაისს დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად პანაშვიდი და პარაკლისი 26 მაისს სამების საკათედრო ტაძარში გაიმართება. ამის შესახებ შევხვდით და ვესაუბრეთ უწმინდესსო, — დასძინა ბურჯანაძემ.

მან აღნიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა, „ქართულ ოცნებას“ აერჩია ის გზა, რომელიც მართლა ძალიან ეფექტიანი შეიძლება ყოფილიყო ხელისუფლების შესაცვლელად.



**„არაერთგზის მითქვამს და დღესაც გავიმეორებ, რომ ბატონ ბიძინას ჰქონდა იმის შანსი, ოპოზიციაში მისვლის პირველ თვეებში გაეერთიანებინა მთელი ოპოზიცია და ოპოზიციის ძალისხმევა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ წარმართულიყო.**

**სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ შეიძლებოდა დღეს სააკაშვილის ხელისუფლება და რეჟიმი ხელისუფლებაში აღარ ყოფილიყო. ამის ძალიან დიდი შანსი იყო — ყოველგვარი სისხლისღვრის, ძალადობისა და ქვეყნისთვის ყოველგვარი დიდი თავისტკივილის გარეშე . სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. რა თქმა უნდა, ალბათ, ბიძინა ივანიშვილი და კოალიციის სხვა წევრებიც აცნობიერებენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ აიღეს ამ გადაწყვეტილებით — ოპოზიციის გამიჯვნის, განცალკევების თემას ვგულისხმობ.**

**და ეს პასუხისმგებლობა ძალიან მაღალია, და თუ ეს მოლოდინი გამტყუნდება, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის საკითხი დადგება სწორედ იმ ლიდერებისა და, უპირველესად, იმ ლიდერისა, რომლის მიმართ საზოგადოებას და ხალხს დიდი მოლოდინი აქვს“.**

ნინო ბურჯანაძე არ გამორიცხავს კახა კუკავასთან თანამშრომლობას. მისი თქმით, მართალია, ჯერჯერობით რაიმე ბლოკის შექმნის თაობაზე აქტიური კონსულტაციები არ მიმდინარეობს, მაგრამ კუკავასთან თანამშრომლობა შესაძლებელიაო.

კითხვაზე, როგორ მოახერხა ბადრი ბიწაძემ ქვეყნის დატოვება, ნინო ბურჯანაძემ თავადვე იკითხა: რატომ უნდა მოგიყვეთ დეტალურადო?

**„ჯერ ერთი, იგი პროფესიონალი მესაზღვრეა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. ადამიანი, რომელმაც იცოდა და იცის ყველა ბილიკი, ყველა გადასასვლელი, რომელსაც ჰყავდა მეგობრები და თანამოაზრეები, და ჰყავს საშუალო რგოლებში, იგივე საზღვრის დაცვის დეპარტამენტში.**

**სააკაშვილის რეჟიმის ძალა არის ის რამდენიმე ათეული ადამიანი, რომელთაც რეჟიმი ეყრდნობა, ხოლო საშუალო და დაბალ რგოლებში ძალიან ბევრი ადამიანია, რომელიც თანაუგრძნობდა „სახალხო კრებას“, დემოკრატიულ მოძრაობას, თანაუგრძნობს იგივე ოპოზიციურ ძალებს. ეს ერთი. მეორე — იგი ძალიან კარგი და გამოცდილი მესაზღვრეა. მესაზღვრეც რომ არ ყოფილიყო, ესეც საკმარისი იქნებოდა; მესამე — არასოდეს არ ვპასუხობ შეკითხვას, როგორ გავიდა — ლეგალურად თუ არალეგალურად. დაუსვით ეს კითხვა იურისტებს და მიხვდებით, რატომ არასოდეს ვცემ ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს. ვფიქრობ, ძალიან მარტივად მიიღებთ ამ კითხვაზე პასუხს.**

**შეკითხვა, ვგონებ, სხვაგვარად უნდა დაისვას: რატომ მიუსაჯეს ბადრი ბიწაძეს 5,5 წელიწადი?**

**რაც შეეხება საზღვრის გადასვლა-არგადასვლას, სხვათა შორის, განვაცხადე და კიდევ გეტყვით — ღმერთმა არ ქნას, თუ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ან რომელიმე ოპოზიციური ლიდერის სიცოცხლეს, ან ჯანმრთელობას, ან თავისუფლებას რეალური საფრთხე დაემუქრება ხელისუფლების მხრიდან, აუცილებლად მივეხმარები მათ საზღვრის დატოვებაში“,** — განაცხადა ბურჯანაძემ.

ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძეს ჰკითხეს, რა კომენტარს გაუკეთებდა ბიძინა ივანიშვილის მიერ ერთ-ერთ ინტერვიუში ნათქვამს: იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებაში მოვა, ხელისუფლების წარმომადგენლები მას უკვე სთხოვენ გარანტიებს. სინამდვილეში მართლა ასე ხდება თუ არა? და რა ხდებოდა ამ თვალსაზრისით თქვენი მოსვლის დროს ხელისუფლებაში?

**„არასდროს არავისთვის გარანტიები არ მითხოვია. ძალიან ბევრი შემოთავაზება იყო მაშინდელი ოპოზიციის — ზოგი ღია და ზოგიც არაღიარებული ლიდერების მხრიდან, არავისთვის გარანტიები არ მითხოვია, ისე წამოვედი 2008 წელს“...**

„ვერ ვხედავ ხელისუფლებისთვის ისეთ საშიშროებას, რომ რომელიმე მაღალჩინოსანს თავისი კეთილდღეობა რისკის ქვეშ დაეყენებინოს და გარანტიების ძებნა დაეწყოს. გარანტიების ძებნა მაშინ იწყება, როცა ხელისუფლების მიერ ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე რეალურია. ამ საფრთხეს დღეს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ“.

ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ისიც, რომ რევანში მიუღებელია მისთვის: **„დიახ, რევანში არ უნდა იყოს საქართველოში. დიახ, ტოტალური დასჯა, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ადამიანი დამნაშავე, არ უნდა მოხდეს და არც სამსახურიდან გათავისუფლდნენ. მაგრამ დამნაშავე ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტი და მისი გარემოცვა უნდა დაისაჯონ, თუ ამას გადაწყვეტს თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლო“,** — აღნიშნა ბურჯანაძემ.

**„დიახ, რევანში არ უნდა იყოს საქართველოში. დიახ, ტოტალური დასჯა, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ადამიანი დამნაშავე, არ უნდა მოხდეს და არც სამსახურიდან გათავისუფლდნენ. მაგრამ დამნაშავე ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტი და მისი გარემოცვა უნდა დაისაჯონ, თუ ამას გადაწყვეტს თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლო“**

ნათა ნიბლაძე

---

პროტესტი

# ნოდარ ჯავახიშვილი: „ქართუ ბანკი“ ეროვნული ბანკის არაორდინარულ მოთხოვნებს არ შეასრულებს

**ამის შესახებ ჟურნალისტებს ბანკის პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა გუშინ, „ინტერპრესნიუსის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განუცხადა. მისივე თქმით, განკარგულება აღნიშნულის შესახებ გასულ კვირას გასცა.**

ჯავახიშვილის შეფასებით, ეროვნული ბანკის ყოველდღიური ქმედება კანონის, საერთაშორისო პრაქტიკისა და ლოგიკის საწინააღმდეგოა და „ქართუ ბანკი“ არც ერთ მის დავალებას, რომელიც ინსტრუქციებიდან გარეთ გამოდის და კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს სცილდება, არ შეასრულებს.

**„მქონდა საუბარი, მისი ინიციატივით, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან, რომელსაც პირდაპირ ვუთხარი ტელეფონში, რომ თუ იქნება ინსტრუქციული დავალება, ვასრულებთ ავტომატურ რეჟიმში, მაგრამ თუ ეს იქნება თქვენი ახალი შემოქმედება, ჩვენ ამას არ შევასრულებთ; გამომიგზავნეთ ოფიციალური წერილობითი მოთხოვნა, თუ დასაკმაყოფილებელია, დავაკმაყოფილებთ, თუ არადა, ასევე ოფიციალურ პასუხს გამოგიგზავნით“,** — აღნიშნა ჯავახიშვილმა.



მისივე თქმით, წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის საბჭოს წერილი გაუგზავნა, სადაც სთხოვდა, რომ ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკს შორის შექმნილ სიტუაციაში გარკვეულიყვნენ და დამატებითი მითითება მიეცათ, თუმცა პასუხი დღემდე არ მიუღია. ჯავახიშვილი ეჭვობს, რომ ეს საბჭო საერთოდ აღარ არსებობს.

**„შემოწმება ნიშნავს, კონკრეტული, განვლილი ეტაპის შემოწმებას, სხვანაირი შემოწმება მსოფლიო პრაქტიკამ არ იცის. როდესაც ამოწმებენ ყოველდღიურ მიმდინარე ოპერაციებს და ამ ტიპის შემოწმებას სამი თვით აგრძელებენ, ეს მარაზმი და აბსურდია; ასე შეიძლება დაუსრულებლივ გაგრძელდეს და მე უკვე ეროვნულ ბანკს აღარ ვუთანხმებ ამ ოპერაციებს“,** — განაცხადა „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ბანკის ხელმძღვანელობას თვეზე მეტია სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი, თუმცა ჯერ განხილვა არ დაწყებულა.

ამასთან, ჯავახიშვილის მოსაზრებით, ბიძინა ივანიშვილის მიერ ოქტომბერში გაკეთებული პოლიტიკური განცხადების შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანი „ბანკ ქართუს“ ბანკად არ მიიჩნევს და არც სერიოზულ შეხვედრებზე იწვევს.

* * *

**ნოდარ ჯავახიშვილი ასევე „ქართუ ბანკისთვის“ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას და მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს.**

ჯავახიშვილის თქმით, მიმდინარე წლის 20 აპრილს, ქვეყნის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს, რითაც საალსრულებლო და საგადასახადო კანონმდებლობაში გასული წლის ოქტომბერში შეტანილი სკანდალური ცვლილებები გაუქმდა.

„ქართუ ბანკში“ მიიჩნევენ, რომ ამ გადაწყვეტილებით საკანონმდებლო ორგანომ და, უწინარესად, მიხეილ სააკაშვილმა, ერთმნიშვნელოვნად დაადასტურეს, რომ ცვლილებებს საფუძვლად არც ქვეყნის ბიუჯეტზე ზრუნვა ედო და არც ცივილიზებული მსოფლიოს პრაქტიკასთან მიახლოებისკენ ლტოლვა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტს, ფაქტობრივად, არც არაფერი მიუღია.

როგორც ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნა, „ქართუ ბანკისთვის“ ჩამორთმეული ქონების უდიდესი ნაწილი, სხვადასხვა დანაშაულებრივი სქემით, უკვე დაუბრუნდა თავდაპირველ მფლობელებს, დანარჩენი კი ჯერ ისევ სახელმწიფო საკუთრებაშია და ანალოგიური სქემის განხორციელებას ელოდება.

---

ინფორმაცია

## ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებს ქართულ პოლიტიკაში ჩართვის შესაძლებლობა მხოლოდ სამი წლის მანძილზე ექნებათ

**საქართველოში დაბადებულ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებს, ქართულ პოლიტიკაში ჩართვის შესაძლებლობა მხოლოდ სამი წლის მანძილზე ექნებათ.**

**საქართველოს კონსტიტუციაში ნორმა, რომლის მიხედვით, საქართველოში დაბადებულ და ათი წლის მანძილზე მცხოვრებ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს, არჩევნებში კენჭისყრის უფლება ეძლევა, გარდამავალ დებულებად ჩაიწერება. სამი წლის შემდეგ ეს ნორმა გაუქმდება, თუმცა გაუქმება უკვე არჩეულ ან დანიშნულ პირებს არ შეეხებათ.**

**ინიციატივა იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილს ეკუთვნის.**

**კუბლაშვილი ამ ინიციატივით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიის შემაჯამებელ სხდომაზე გამოვიდა.**

**საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საპარლამენტო განხილვები გუშინ დაიწყო.**

ინტერპრესნიუსი

## დაუფარავი სიძულვილი

# გთხოვთ, ჩააშარდოთ ნახვრეტში!..

## ანუ თურმე როგორ ცდებოდა რვა საუკუნის წინათ საქართველოს ყველა დროის უპირველესი მეფე!

**ბატონი მიხეილ სააკაშვილი, როგორც იტყვიან, ტყავიდან ძვრება ეს ბოლო კვირებია. მან უკვე დაამყარა გინესის რეკორდი შეუსვენებლად ლაპარაკში, მისი საყვარელი ტრიბუნა კი გაიქუცა აქეთ-იქით წამდაუწუმ ტარებით.**

4 მაისს ბატონი მიხეილი ბათუმში დაეპხო ამ ყბადაღებულ ტრიბუნას. ბათუმში 40-სართულიან ტექნიკურ უნივერსიტეტს ვაშენებთ, ყველაზე მაღალს კავკასიის მასშტაბითო.

თან მსმენელი გააოგნა: შენობის შიგნით, 35-ე სართულზე, „ეშმაკის ბორბლის“ მსგავსი ატრაქციონი იქნება, რომლის ზევითაც სტუდენტური სასადილო და ბიბლიოთეკა განთავსდებაო.

ოღონდ ის აღარ უთქვამს, სტუდენტი რომ 35-ე სართულზე „ეშმაკის ბორბალზე“ იბულრავებს, 36-ზე ქუდიც რომ შეუგდო, ვითომ ბიბლიოთეკაში ჩაუჯდება წიგნებს? რა მეცნიერული რეკომენდაციებით არის ნაკარნახევი ამ მართლაც ეშმაკის მოგონილი ატრაქციონის უნივერსიტეტში გამართვა, პატრიოტული ბანაკების ცნობილი „საკოტრიალო ბუჩქების“ მსგავსი რამ ხომ არ იქნება?

მგონი პრეზიდენტის „აჭარულ“ გამოსვლას, უფრო ღრმა და ფართო მიზანი ჰქონდა.

უბრალოდ, პრეზიდენტმა ორი დღით ადრე ქუთაისში აფხაზეთზე ნათქვამი დაუკვირვებელი, გაუაზრებლად წამოსროლილი სიტყვების „დეზავუირება“ სცადა (მოინდომაძ.

თქვა კი სიტყვა-სიტყვით ეს: ***„ჩვენ ილუზორულად ვაკონტროლებდით აფხაზეთს საბჭოთა პერიოდში — სოხუმში ქართული ენა არ ისმოდა. სიმღერები მუდამ იწერებოდა ვერაზე, ვაკეზე, ავლაბარზე, ორთაჭალაზე და ა. შ. ქუთაისზეც კარგი სიმღერები დაიწერა, მაგრამ სოხუმზე სიმღერები არ იწერებოდა, რადგან ის არ იყო საქართველოს შემადგენლობაში. დასავლეთ საქართველო გასული იყო საქართველოს კონტროლიდანო.***

ბათუმში თავისი მკრეხელური „მიგნება“ — **აფხაზეთი მაინც დაკარგულია და სჯობს ახლა ქუთაისზე ვილაპარაკოთო** — „გადააწყო“, ეტყობა, ვიღაცამ გაუბედა და უთხრა, რაც ეკუთვნოდა. თავისი აზრით, მდგომარეობა გამოასწორა:

**„ამას წინათაც ვიხსენებდი, რომ საბჭოთა კრიტერიუმებით, სოხუმზე სიმღერის დაწერაც არ შეიძლებოდა, იქ ქართული ფილმის გადაღების საშუალებას არ გვაძლევდნენ. ამაზე ფულს არ გვიყოფდნენ. უნდოდათ შთაეგონებინათ ჩვენთვის, რომ ის არ არის საქართველოს შემადგენლობაში — ეს იყო მითი მენტალიტეტი!**



იქვე გულის ხვაშიადიც გაგვანდო, გადადგომა, პოსტიდან, წასვლა არ მინდაო, **მაცადეთ კიდევ 2-3-4 წელი და გარანტიას გაძლევთ, რომ წყალტუბოს საუკეთესო ადგილად გადავაქცევო.** იმის ლოგიკას რომ მივყვეთ, ლაზიკას ერთი ათი წელი ხომ სჭირდება, ბათუმის სრულად დამთავრების და ქუთაისის სრულყოფილ დედაქალაქად ქცევას ალბათ კიდევ ერთი ამდენი და, როგორც ჩანს, არ დაგვადგება საშველი: პენელოპეს ხერხი მოიმარჯვა და აღარ დაამთავრებს მამამთილის ლაერტის სუდარის ქსოვას...

ქუთაისში პარლამენტის გადატანით თურმე ყველაფერი გამარტივდება.

ქუთაისი საქართველოს ცენტრია ყველა თვალსაზრისით და სწორედ ეს არის პარლამენტის იქ გადატანის იდეოლოგიაო.

**ამრიგად „ თურმე ახალი პარლამენტი საქართველოს შუაგულში გადმოდის, დეპუტატებიც მთელი საქართველოდან შეიკრიბებიან და ყველა, მათ შორის გეოგრაფიული თვალსაზრისითაც, არა დამახინჯებული, არამედ სწორი წარმომადგენლობით შეიკრიბება“.**

მიხვდით, რატომ იკრიბებიან პარლამენტარები თბილისში „დამახინჯებულად“ და ქუთაისში რატომ შეიკრიბებიან „სწორი წარმომადგენლობით“? ვერ მიხვდით (ვერც მიხვდებოდით!ძ და ამიტომაც გამოგვეცალათ ხელიდან თბილისის დედაქალაქობა!

რატომ და იმიტომ, რომ **„თბილისი მარტო საქართველოს კი არა, კავკასიის დედაქალაქია. ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით თბილისი, გარკვეულწილად სომხებისთვისაც უმნიშვნელოვანესი ცენტრია და აზერბაიჯანელთათვისაც. თბილისი არის უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული, პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული ცენტრი კავკასიის ყველა ხალხისთვის“.**

ოლოლო შენ!..

არის ასეთი მოარული ლეგენდა: საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის და კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლავრენტი ბერიამ თავის კაბინეტში თავისი ხელით დახვრიტა სომხეთის კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივანი ხანჯიანი, რომელმაც გაუბედა და „შესთავაზა“: საქართველოს დედაქალაქი თბილისიდან ქუთაისში გადავიტანოთ, თბილისი კი ამიერკავკასიის დედაქალაქი იყოსო. თბილისი მარტო საქართველოს კი არა, კავკასიის დედაქალაქია, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით სომხეთისთვისაც და აზერბაიჯანისთვისაც უმნიშვნელოვანესი ცენტრიაო.

სამწუხაროდ დღევანდელ ხელისუფლებაში არავინ აღმოჩნდა ლავრენტის მსგავსი, თანამედროვე ხანჯიანისთვის სათანადო პასუხი რომ გაეცა.

ქუთაისი კი სხვააო. **„აიეტის ხანიდან ძველი მოგზაურები ზღვიდან მდინარით შემოდიოდნენ ქუთაისში, მაგრამ ახლა ავტობანით, პრაქტიკულად საათზე ნაკლები დრო დაგვჭირდება საზღვაო კურორტებსა და პორტამდე მისასვლელადო“,** — დაახეთქა მთავარი არგუმენტი.

პრეზიდენტი, როგორც ჩანს, მანძილს საზღვაო კურორტებსა და პორტამდე უკვე ქუთაისიდან ითვლის, თორემ თბილისიდან, მით უფრო დედოფლისწყაროდან თუ ნინოწმინდიდან, რა დროც გუშინ სჭირდებოდა, დღესაც იგივე არ დასჭირდება?

ერთი სიტყვით, „გთხოვთ, ჩააშარდოთ ნახვრეტში!“ —

პრეზიდენტის მახვილგონივრულმა „იდეოლოგიამ“ ელიავას ბაზრობის ტუალეტში გამოკრული განცხადება გამახსენა: „გთხოვთ ჩააშარდოთ ნახვრეტში“.

როგორც ჩანს, მიმართვის ადრესატები პირდაპირ იატაკზე აყენებდნენ გუბეებს. ამიტომ გახდა საჭირო მათთვის შეხსენება, რომ საამისოდ არსებობს სპეციალური ნახვრეტი თურქული უნიტაზის სახით.

**ამრიგად, რვა საუკუნის შემდეგ, 1122 წლიდან, რაც დიდმა დავით აღმაშენებელმა გააფთრებული, ხანგრძლივი ბრძოლით თბილისი აიღო და დედაქალაქი ქუთაისიდან კვლავ აქ გადმოიტანა, თბილისში კვლავ დიდი არაბობა მკვიდრდება და დედაქალაქობის ტვირთს ქუთაისი იდებს მხრებზე, ერთადერთი „იდეოლოგიური გამართლებით“: საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს დაუფარავად სძულს თბილისი.**

**სანდრო ალექსიძე**

## ტრანსპორტი

# უგულავა ავტობუსიდან „მარშრუტკაში“ გადაჯდა

**ჭიაბერაშვილის აკრძალული უგულავამ დააბრუნა. თუკი ამ რამდენიმე წლის წინათ ყვითელი ავტობუსების ხარჯზე სამარშრუტო ტაქსებს ზღუდავდნენ, ახლა ვითარება შეიცვალა. მერიას მუნიციპალური ტრანსპორტი ყელში ამოუვიდა და მათ ნაცვლად აწ უკვე საკუთარ კლანჭებში მოქცეულ ყვითელ „მაშრუტკებს“ ალაღებს.**

თბილისში მოძრავი ავტობუსების მძღოლების ინფორმაციით, დედაქალაქში ავტობუსების რაოდენობის ჯერ შემცირება, შემდეგ კი გაუქმება იგეგმება. ამის შესახებ ეჭვები დიდი ხანია არსებობს და ის რუსთაველის გამზირზე ახალი სამარშრუტო ტაქსების გამოჩენის შემდეგ კიდევ უფრო გამყარდა, რომლებიც მხოლოდ ავტობუსების გაჩერებაზე გააჩერებენ.

აღნიშნულ ინფორმაციას თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ სამარშრუტო ტაქსები, რომლებიც რუსთაველისა და მომავალში, ჭავჭავაძის გამზირზე დაიწყებენ მოძრაობას, ავტობუსებს არ ჩაანაცვლებენ. მათივე თქმით, სამარშრუტო ტაქსები რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირზე მოძრაობას არ შეაფერხებენ.

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თეონა ნიორაძე კი განმარტავს, რომ სამარშრუტო ტაქსები მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სრულად შემოიყვანა და ისინი რუსთაველის გამზირზე ეტაპობრივად გამოჩნდებიან.

**„ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შემოყვანილი სამარშრუტო ტაქსებით ქალაქი ნელ-ნელა დაიტვირთება, თუმცა ეს ავტობუსების რაოდენობის შემცირებას არანაირად არ გამოიწვევს“,** — განაცხადა ნიორაძემ.



ახალ ყვითელ სამარშრუტო ტაქსებში, რომლებიც რუსთაველის გამზირზე ივლიან, ფეხზე მდგომ მგზავრთა რაოდენობა გაკონტროლდება. მათი რიცხვი არაუმეტეს 5 ადამიანით განისაზღვრება. უახლოეს მომავალში სამარშრუტო ხაზები ამოქმედდება ჭავჭავაძის გამზირზეც.

თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის სამსახურის უფროსის აკაკი ჯოხაძის ინფორმაციით, ცენტრალურ უბნებში მიკროავტობუსები ტრამვაის ხაზის ამოქმედებამდე იმოძრავებენ. ტრამვაის ამოქმედების შემდეგ კი, თბილისის მერია ცენტრალურ გამზირებზე სამარშრუტო ტაქსების განრიგსა და მიმართულებებს თავიდან გადახედავს.

**„ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ქალაქის ცენტრალურ გამზირზე სამარშრუტო ტაქსები მხოლოდ ავტობუსების გაჩერებებზე გაჩერდებიან, რაც ხელს შეუწყობს თავიდან ტრანსპორტის ქაოსური გადაადგილების თავიდან აცილებას“,** — აცხადებენ მერიაში.

რუსთაველზე და ჭავჭავაძეზე „მარშრუტკების“ დაბრუნებამ დედაქალაქის საკრებულოში პროტესტი სულ სხვა მიმართულებით გამოიწვია. საკრებულოს წევრი ჯაბა სამუშია კომპანია „თბილისის მიკროავტობუსს“ სატენდერო პირობების დარღვევასა და მოსახლეობის მოტყუებაში დაადანაშაულა.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „თბილისის მიკროავტობუსს“ ორჯერ გადაუვადეს ტენდერის პირობების შესრულების ვადა, ამ დროისათვის 2 500 სამარშრუტო მიკროავტობუსი ჯერ კიდევ არ არის შემოყვანილი.

სამუშიას თქმით, აპრილში გამართულ პრეზენტაციაზე „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელობამ იცრუა, როდესაც თქვეს, რომ ტენდერის პირობები უკვე შესრულებული იყო. **„საქმე გვაქვს ლობირებასთან, ტენდერის დროს სხვებს წააგებინეს ამ მონოპოლისტის გამო და ეს ერთი მონოპოლისტი არღვევს კანონს უკვე წელიწადნახევარია“,** — აცხადებს სამუშია.

მისი თქმით, სატენდერო პირობების შეუსრულებლობისთვის ჯარიმა გათვალისწინებული იყო მილიონ 300 000 ლარი, თუმცა მიკროავტობუსს მხოლოდ 100-ლარიან ჯარიმას უწერენ. გარდა ამისა, სამუშია აცხადებს, რომ „თბილისის მიკროავტობუსმა“ სხვადასხვა ხაზებზე სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა შეამცირა, ანუ თუ უნდა ყოფილიყო ერთ ხაზზე 30 სამარშრუტო ტაქსი, დღეს მოძრაობს — 25. გარდა ამისა, ბევრ სამარშრუტო ხაზზე ისევ ძველი მიკროავტობუსები მოძრაობს.

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ დირექტორი გიგლა ჯაბიშვილმა სამუშიას ბრალდებებს მსწრაფლ უპასუხა. როგორც იგი ამტკიცებს, კომპანიამ ქალაქის მთავრობის წინაშე აღებული ვალდებულებები შეასრულა. **„პირველადი ვალდებულება, რაც იყო დადგენილი თბილისის მთავრობის მიერ, კომპანიამ შეასრულა პირნათლად და სქემის მიხედვით. ამჟამად მიმდინარეობს ხაზების დაკომპლექტება და მთლიანად დასრულდება ივნისში. უკლებლივ ყველა ხაზზე იმოძრავებს მხოლოდ ახალი მიკროავტობუსი“,** — განაცხადა ჯაბიშვილმა.

მისივე თქმით, პროცესი ტექნიკური მიზეზების გამო ჭიანურდება. **„ეს პროცესი ლოჯისტიკურად რთული პროცესია, უნდა დამონტაჟდეს ნავიგაციის და გადახდის სისტემები, ფირნიში, ტაბლო. გარდა ამისა, ვალდებულება გვაქვს, დავასაქმოთ ყველა ძველი მძღოლი, მათთანაც მიმდინარეობს შეხვედრები და ხელშეკრულებების გაფორმება“,** — განმარტავს ჯაბიშვილი.

**ეკა ბაქრაძე**

## რა გვიჩვენა კვლევამ?

# „მართებულად არ მიმაჩნია, IRI-სა და IND-ის კვლევებით პოლიტიკურ ძალთა მიმართ ვაშინგტონის სტრატეგიაზე ვიმსჯელოთ“



**„ენ-დი-აისა“ და „აი-რაის“ საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხები შეიძლება აინტერესებდეს საზოგადოებას წინასაარჩევნო პერიოდში, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგსა და ფსიქოლოგს, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო რამაზ, პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის შეფასებით, IRI და IND, რომელთაგან ერთი აშშ-ის „დემოკრატიული პარტიის“ მხარდამჭერია, ხოლო მეორე „რესპუბლიკური პარტიის“, საქართველოში ისე ებრძვიან ერთმანეთს, როგორც საარჩევნო კამპანიაში — აშშ-ის წამყვანი „დემოკრატიული“ და „რესპუბლიკური“ პარტიები, მოტყუებული კი ქართული საზოგადოება რჩება.**

**თუ ამ ლოგიკას გავყვებით, გამოდის, რომ ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, შტატების ორივე წამყვანი პარტია მხარს არ უჭერს საქართველოში ხელისუფლების ცვლილებას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერი „ენ-დი-აი“ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დალაგებას უჭერს მხარს და, შესაბამისად, „ენ-დი-აი“-ს გამოკითხვაში ამ თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თუმცა, ამ თემაზე ყურადღება „აი-რაიმაც“ გაამახვილა. თქვენი აზრით, „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ გამოკითხვის შედეგებით შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ აშშ-ის პოლიტიკური წრეები საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შესაძლებლობას არ განიხილავენ?**

— არა მგონია, ეს ვარაუდი სწორი იყოს, რადგან ყველას მოგვისმენია, რა დაბეჯითებით ითხოვენ აშშ-ის ახლანდელი და მომავალი ელჩები საქართველოში ნორმალური პოლიტიკური კონკურენციისთვის პირობების შექმნას. ელჩები კი, მაღალ ეშელონებთან უფრო ახლოს არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალ ეშელონებში ხელისუფლების შეცვლის თემა განიხილება. მაგრამ, შეიძლება ეს ეშელონები ისე მაღლაა, რომ იქ არსებული რეალური განწყობილებები ვერ აღწევს „ენ-დი-აის“ და „აი-რა-ის“ ქართულ განყოფილებებამდე, რადგან, მათი სოციოლოგია ხშირ შემთხვევაში მკვეთრად უხვევს ამერიკის ადმინისტრაციის ზემოხსენებულ კურსს. ამ განსხვავებას, შესაძლოა, უბრალო ადამიანური მიზეზებიც ჰქონდეს. დიპლომატები ხშირ როტაციას იმის გამო ექვემდებარებიან, რომ ზედმეტად არ შეეჩვიონ ადგილობრივ სიტუაციას. შესაძლოა, იმისთვის, რომ „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ წარმომადგენლები ობიექტურები იყვნენ, ზედმეტადაც კი შეეჩვივნენ საქართველოს და მის ხელისუფლებას. შესაძლოა, მიზეზი ეს არის.

**— „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ საზოგადოებრივი აზრის კვლევებმა საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში გააჩინა იმის განცდა, რომ ამ ორგანიზაციების დაკვეთით ჩატარებული კვლევები არა საზოგადოებრივი აზრის შესწავლისთვის, არამედ საზოგადოებრივი აზრის შექმნისთვის კეთდება. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— ყველა საჯარო ინფორმაცია ქმნის საზოგადოებრივ აზრს, მათ შორის — ინფორმაცია სოციოლოგიურ გამოკვლევაზე. მთავარი სწორი სურათის შექმნაა. ეს მონაცემები იმიტომაც ქვეყნდება, რომ საზოგადოებამ სარკეში ჩაიხედოს. ოღონდ, სარკე არ უნდა იყოს დეფორმირებული და გამოქვეყნებული ინფორმაცია არ უნდა იყოს ორიენტირებული საზოგადოების შეცდომაში შეყვანაზე. როცა კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაცია არ აქვეყნებს ინფორმაციას, ამავე დროს ხელს არ უშლის კვლევის შედეგებზე ინფორმაციის გაჟონვას და ამით იცილებს პასუხისმგებლობას, თან მეთოდოლოგიის თაობაზე კრიტიკას არ იღებს, ასეთი სტრატეგია აჩენს ეჭვს, რომ რაღაც ეშმაკობასთან გვაქვს საქმე.

**— უკანასკნელი გამოკითხვით ქდმ-ს ლიდერის გიორგი თარგამაძის რეიტინგი ბევრისთვის დაუჯერებელი აღმოჩნდა; იმის გათვალისწინებით, რომ „ენ-დი-აის“ გამოკითხვითაც მისი რეიტინგი საკმაოდ მაღალი იყო, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოდთ, რომ სააკაშვილის შემდეგ ვაშინგტონი საქართველოში მისთვის ყველაზე სასურველ პოლიტიკურ ძალად არა ბიძინა ივანიშვილს, არამედ სწორედ ქდმ-ს ლიდერს გიორგი თარგამაძეს განიხილავს?**

— ნამდვილად ვიცი, რომ ამერიკული მხარე სიმპათიით არის განწყობილი გიორგი თარგამაძის მიმართ, რაც გასაკვირი არ არის. მაგრამ, „ენ-დი-აი-სა“ და „აი-რა-ის“ კვლევებით საქართველოში პოლიტიკურ ძალთა მიმართ ვაშინგტონის სტრატეგიაზე მსჯელობა მართებულად არ მიმაჩნია. თანაც, თარგამაძის საარჩევნო რეიტინგს არ გამოუწვევია კითხვის ნიშნები. ის, რომ მმართველი პარტიისა და „ქართული ოცნების“ შემდეგ საარჩევნო ბარიერს „ქრისტიან-დემოკრატები“ გადალახავდნენ, არ იყო გასაკვირი. დაუჯერებელი აღმოჩნდა ოპოზიციურ ლიდერთა შორის მისი ნდობის რეიტინგი, რომელიც ივანიშვილის მიმართ გამოხატულ ნდობაზე მეტი გამოვიდა. დასკვნა გამოდის ასეთი — ოპოზიციის ლიდერთაგან ენდობიან თარგამაძეს და ირჩევენ ივანიშვილს. ამ გაუგებრობის პასუხი კვლევის კითხვარის შედგენაშია, ანუ, ის ისე იყო შედგენილი, რომ ასეთი შედეგი მიღებულიყო. ჩემი აზრით, ეს შედეგი უფრო ივანიშვილის მომხრეების ლუსტრაციაზე იყო მიმართული, ვიდრე — თარგამაძის წარმოჩინებაზე.

**— გასაგებია ძირითადი პოლიტიკური აქტიორების მიზნები, მაგრამ კვლევა ბევრ საკითხში აშკარად არარეალისტურ შედეგებს იძლევა. ამის კარგი მაგალითია კითხვაზე — მთავარ პრობლემებად რას მიიჩნევთ — მიღებული შედეგები. ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოში, სადაც სოციალურად დაუცველთა რიცხვი თითქმის ერთ მილიონს აღწევს, გამოკითხვით, სიღარიბე, მაღალი კომუნალური გადასახადები და ძვირი სამედიცინო მომსახურება მხოლოდ გამოკითხულთა 7%-7%-ს აწუხებს, გაზრდილი გადასახადები — 5%-ს, არაერთგზის ომგადახდილ და ყველა ომში დამარცხებულ საქართველოში, სადაც თბილისიდან 40 კმ-ში რუსული ტანკები დგას, მშვიდობისა და სტაბილურობის პრობლემა მხოლოდ 1%-ს აწუხებს. თქვენი აზრით, უმძიმეს სოციალურ ფონსა და ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში რამდენად რეალისტურად გამოიყურება ამ ნაწილში კვლევის შედეგები?**

— არსებული რეალობის ფონზე ყოველგვარი კომენტარი შეუძლებელია. სამწუხაროა, რომ ურთულესი სოციალური ფონის არსებობის პირობებში კვლევის შედეგებზე თავად ავტორები არ დაფიქრებულან.

**— ასევე აშკარად არარეალისტურად გამოიყურება გამოკითხვის შედეგები თემაზე — უჭერთ თუ არა მხარს რუსეთთან შემდგომ დიალოგს? თუ რუსეთთან დაულაგებელი მდგომარეობა მხოლოდ 5%-ს აწუხებს, ამ კითხვაზე რუსეთთან დიალოგის დაწყებას გამოკითხულთა 74% მხარს როგორღა უჭერს?**

— რა თქმა უნდა, ეს შედეგიც ღიმილის მომგვრელია, სამწუხარო რომ არ იყოს. სამწუხარო კი ის არის, რომ კვლევის ავტორები იმდენად არ სცემენ პატივს ქართულ საზოგადოებას, იმაზეც კი არ იზრუნეს, რომ ლოგიკურად გამართული ტყუილი მაინც შემოეთავაზებინათ.

**— სოციოლოგთა ერთი ნაწილი კვლევის დროს დასმულ კითხვათა წინასწარგანზრახულობასა და ორაზროვნებაზე ამახვილებს ყურადღებას. თქვენც ასე ფიქრობთ? და კიდევ, როგორც თქვენივე კოლეგა სპეციალისტები ამბობენ, ბევრი რამ კვლევის „მოფიქრებულ დიზაინზეა“ დამოკიდებული. თქვენ რომ კვლევას წინასაარჩევნოდ ატარებდეთ, რა ძირითად 5 კითხვას და რა ფორმულირებით, ანუ, რა წინასწარ „მოფიქრებული დიზაინით“ შესთავაზებდით რესპონდენტებს?**

— ერთ-ერთი მაგალითი დიზაინით გამოწვეული გაუგებრობისა უკვე მოგახსენეთ. როცა ყველას ეკითხები - ოპოზიციურ ლიდერთაგან ვის უფრო მეტად ენდობი, ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების მომხრეები ხომ მათთვის უფრო ხელსაყრელ კანდიდატს აირჩევენ? შესაბამისად, მათი შეფასება ემატება შემდეგ გიორგი თარგამაძის მომხრეების შეფასებას და მივიღეთ პარადოქსული შედეგი. გიორგი თარგამაძეს უფრო ენდობიან, ვიდრე ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ირჩევენ. და ეს გათვლადი შედეგი იყო, ანუ კითხვარის შემდგენელმა უკვე იცოდა, რომ ასეთ პასუხს მიიღებდა.

რაც შეეხება იმას, მე რომ საზოგადოებრივი გამოკვლევის დირექტორი ვიყო, რა თქმა უნდა, დავსვამდი სტანდარტულ კითხვას — დღეს რომ არჩევნები იყოს, რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს? მაგრამ, ამავე დროს გამოვიკვლევდი რესპონდენტების აზრს იმ საკითხებზე, რაც ხელისუფლების და ოპოზიციის დებატებში ხშირად ისმის. მაგალითად, შეიძლება თუ არა, დამყარდეს წესრიგი ძალადობის გარეშე? საჭიროა თუ არა მოლაპარაკება ოკუპანტთან? ჩინოვნიკების მაღალი ხელფასები კორუფციისგან დაცვაა, როგორც ამას ხელისუფლება ამბობს, თუ — შეტრიალებული კორუფცია?

**— ანუ, ეს როგორ უნდა გავიგოთ?**

— ანუ, ხომ არ არის ეს ჩინოვნიკებისთვის ბიუჯეტიდან გალებული ქრთამი, რომლის გამო ჩინოვნიკები ხელისუფლებას ემორჩილებიან და მისდამი ლოიალურები არიან? ამ და სხვა კითხვებს იმის გამო დავსვამდი, რომ ჩვენ შეიძლება მივიღოთ ასეთი სურათი — მოქალაქეები ხელისუფლებას ირჩევენ, ოღონდ კონკრეტულ საკითხებში ისინი არ იკავებენ იმ პოზიციას, როგორიც ხელისუფლებას აქვს. აი, ასეთი ლოგიკური შეუსაბამობები მერე მიგვითითებს იმაზე, რესპონდენტს შეეშინდა თუ არა პირდაპირ კითხვაზე პასუხის გულწრფელად გაცემა. ასეთი სხვა, გადამოწმებადი კითხვებით შეიძლება მეტნაკლებად იმის პროგნოზი, რეალურად როგორ მოიქცევა ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან მისვლის დროს.

**კობა ბენდელიანი**

## ინფორმაცია

### საქართველოში განმეორებითი მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა

„ინტერპრესნიუსს“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრიდან აცნობეს, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან 25 კილომეტრში მიწისძვრა კიდევ განმეორდა. მისი სიმძლავრე 4,5 მაგნიტუდას შეადგენდა. სეისმური მონიტორინგის ცენტრში განმარტავენ, რომ ეს თანმდევი ბიძგებია. შედარებით სუსტი ბიძგები კიდევ არის მოსალოდნელი.

საქართველოში გუშინ, 5,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა. სეისმოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრიდან 25 კმ-ში დაფიქსირდა.

სეისმოლოგიური მონიტორინგის ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი დედოფლისწყაროსთან, სოფელ ყარალაჯთან დაფიქსირდა.

### მშობლების ნაწილმა შვილების სკოლებში დატოვებისგან თავი შეიკავა

საქართველოში მომხდარი მიწისძვრის გამო, თბილისში მშობლების ნაწილმა შვილების სკოლებში დატოვებისგან თავი შეიკავა.

როგორც თბილისის 161-ე სკოლის დირექტორმა აკაკი ხუსკივაძემ განაცხადა, გუშინ გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრება შემცირებული იყო.

— მიწისძვრის გამო სასწავლო პროცესი არ გადადებულა, ჩვეულ რეჟიმში გრძელდებოდა, თუმცა თავად მშობლების გარკვეულმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ბავშვები სახლებში უნდა წაეყვანონ. ჩვენ მშობლებს, როგორც კანონიერ მეურვეებს, ხელს ვერ შევუშლით, — აღნიშნა 161-ე სკოლის დირექტორმა.

### აზერბაიჯანში ქართველების კომპაქტურად ჩასახლების რაიონებში მიწისძვრამ ნგრევა გამოიწვია

აზერბაიჯანის, ზაქათალისა და ალიაბადის რაიონებში, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ, მიწისძვრამ შენობების ნგრევა გამოიწვია, თუმცა მსხვერპლი არ არის.

როგორც აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა, კახა აბდალაძემ სატელეფონო საუბრისას განაცხადა, ორივე რაიონში სერიოზული რყევები იგრძნობოდა. საელჩოს კავშირი აქვს ორივე რაიონის გამგებლებთან და ცდილობს, მოიპოვოს დამატებითი ინფორმაციები.

### მიწისძვრა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მუშაობაზე არ იმოქმედებს

ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია კომპანია BP-ის წარმომადგენლებზე დაყრდნობით წერს, რომელიც გაზსადენის ოპერატორი კომპანიაა.

— მიწისძვრა ასევე არ შეაფერხებს რკინიგზისა და ზაქათალის აეროპორტის მუშაობას, — წერენ აზერბაიჯანული სააგენტოები. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მიწისქვეშა ბიძგები გუშინ დილით დაფიქსირდა, რომლის სიმძლავრეც 12-ბალიანი შკალით 7 ბალს შეადგენდა.

### მიწისძვრის ეპიცენტრში 19 მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა

მიწისძვრის ეპიცენტრში 19 მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა. ამის შესახებ „ინტერპერსნიუსს“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმოლოგმა ინგა ხელაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნული ბიძგები მიწისძვრის თანამდევია და მცირე ზომის ბიძგები შესაძლოა კიდევ დაფიქსირდეს. 19 ბიძგიდან დაახლოებით 4-5 იყო 4 მაგნიტუდაზე მეტი, დანარჩენი — საშუალო და მცირე სიძლიერის. „მიწისძვრა, რომელიც აზერბაიჯანში დაფიქსირდა, საკმაოდ ძლიერი იყო, თუმცა ეპიცენტრი დასახლებულ პუნქტში არ ყოფილა“, — აღნიშნა ინგა ხელაშვილმა.

აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრიდან 25 კმ-ში 5,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა გუშინ, თბილისის დროით, 08.40 საათზე დაფიქსირდა. საქართველოში ბიძგების სიმძლავრემ 5,7 მაგნიტუდა შეადგინა, ეპიცენტრში კი — 12-ბალიანი შკალით 7 ბალი.

ინტერპრესი

პოზიცია

# როდესაც ქვეყანა ხელიდან გვეცლება

## არა გვაქვს მორალური უფლება, შორიდან შევყურებდეთ მოვლენების განვითარებას!

**ქვირფასო თანამემამულენო, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ ყოველდღიურად კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება, რომ ქართველი ერი დაუნდობელი გამოწვევის წინაშე დგას. ხელისუფლება, რომლის მიზანმიმართულმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ ქვეყანა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო, ნებისმიერი გაუმართლებელი მეთოდების გამოყენებით, როგორც ჩანს, არ აპირებს ხელისუფლებიდან წასვლას, რაც ჩვენს ქვეყანას გარდაუვალი დაღუპვის საფრთხით ემუქრება.**

საქართველოს არა აქვს თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სრულიად მოშლილია ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება, უცხოელებზე იყიდება მიწა-მამულები და ჩვენს ადგილობრივ მცხოვრებთ დამამცირებლად ერეკებიან საკუთარი მიწებიდან.. წაიბილწა ქართული ენა, შეირყა სარწმუნოება, ერთ დროს თავისი რაინდული თვისებებით გამორჩეული, ზნეობრივი სიმტკიცით ყველასთვის მისაბაძი ქართველი ერი ხელისუფლების მიზანმიმართული ანტიეროვნული პოლიტიკით უზნეობისა და გარყვნილობის მსხვერპლი ხდება, ქართველი გოგონებითა და ქალბატონებით ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ გაივსო უცხოელ თუ შინაურ ზნედაცემულთა ჰარამხანები.

შრომისუნარიანი ჩვენი თანამემამულეებით გაივსო უცხო ქვეყნების ციხეები, რომელნიც, საკუთარი ოჯახის გადასარჩენად სამუშაოსთვის უცხოეთში გადახვეწილები, ნებსით თუ უნებლიეთ, სხვადასხვაგვარი დანაშაულებრივი ქმედებების მონაწილენი გახდნენ.

საქართველო, კერძოდ, აჭარის ზღვისპირეთი, თურქეთის და სხვა უცხოელებისთვის გასართობ ცენტრად და ბიზნესობიექტად გადაიქცა, კაზინოები და ღამის კლუბები, რომელნიც ყოველდღიურად მრავლდება, სიდუხჭირეში ჩავარდნილ ქართველი გოგონებისათვის ერთგვარ სატყუარას წარმოადგენენ. ქართლის დედის კულტი, ქართველი ქალი, კარგავს თავის ყოფილ პატივს და დიდებას, მაშინ როცა ქართველი კაცი მეზობელ თურქეთში მონურ შრომას ეწევა, თურქი მოქალაქეები ჩვენს ქვეყანაში განუზომელი უფლებებით სარგებლობენ, ჩვენს თანამემულეებისთვის კი, როგორც ვხედავთ, არის მხოლოდ მონობა უცხოეთში, მონობა საკუთარ ქვეყანაში უცხოელ მეწარმეებთან. საქართველოს მოქალაქე არ არის დაცული საკუთრ ქვეყანაში საკუთარი ხელისუფლების მიერ... კიდევ რამდენი რამე უნდა ჩამოვთვალოთ, რომ ჩვენი ქვეყნის უბედურება აღვწეროთ. ასეთ დროს, იმ ადამიანების კვლავ პოლიტიკაში ყოფნა, ვისაც თავისი გულგრილობით, უცოდინრობითა და უპრინციპობით ლომის წილი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის უბედურებაში ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია.

ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სიბრძნესთან ერთად, უდავოდ წარმატების საკუთარი საიდუმლო ფორმულა აქვს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ესოდენ დიდი წამატებების მიღწევა, დამეთანხმება იმაში, რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ოპოზიციის გასამარჯვებლად და ქვეყნის შემდგომი აღმშენებლობისთვის (სულიერი და მატერიალურიძ არათუ მხოლოდ ფინანსებში, არამედ უპირველესად წესიერი, სანდო, მოაზროვნე და პრინციპული ადამიანების შერჩევასა და მათ ერთობაშია, რომლის დეფიციტსაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური წრეები აშკარად განიცდიან. სამწუხარო ფაქტები თავის თავზე მეტყველებენ.

იხ. 6 გვ.

ინფორმაცია



### თბილისში სადარბაზოები და სარდაფები დაიტბორა

**ძლიერი წვიმის გამო, თბილისში სადარბაზოები და სარდაფები დაიტბორა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების სააგენტოდან აცნობეს, თბილისის სხვადასხვა უბნებიდან დატბორვის შესახებ 25-მდე შეტყობინება შევიდა. სამაშველო ჯგუფები ძირითადად, ამოტუმბვით სამუშაოებს სადარბაზოებიდან და სარდაფებიდან ახორციელებდნენ. სერიოზული ზიანი არ დაფიქსირებულა. ამასთან, გვიან ღამით, ძლიერი წვიმის შედეგად ბუხაიძის ქუჩაზე ავარიული სახლის ნაწილი ჩამოინგრა.**

ინტერპრესი

SOS!



# ხელისუფლებაზე მეტად ჰოლანდიური ფონდი უნდა ზრუნავდეს ეკლესიისთვის?!

## სოფელს ალავერდი სჭირდება, ალავერდს – მრევლი

**...იმერლიანთუბნელებს საკუთარ მოსავალზე მეტად ალავერდის ბედი ადარდებთ. მე-11 საუკუნეში აგებულ უძველეს ტაძარს დატბორვა ემუქრება. მდინარე ზემო ხოდაშნის ხევი, რომელიც ახლა უწყინარი ღელესავით მიედინება, წყალდიდობისას კალაპოტს იცვლის და მონასტრის ტერიტორიას ტბორავს.**

ადგილობრივი მკვიდრი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი მიხეილ არინდაული გვიყვება, რომ მდინარის კალაპოტი ბოლო წლებში 30-40 მეტრის სიგანეზე გაფართოვდა. პრობლემა სათავეს იღებს ორი მდინარის – შავკაბასა და ზემო ხოდაშნის ხევის შეერთების ადგილიდან. დაახლოებით 90 კვ.კმ ფართობზე ქვა-ღორღი გროვდება, კალაპოტი სიღრმეს კარგავს და საძოვრებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ტბორავს. იქაურები ამბობენ, რომ ბოლო წლებში მოვარდნილი წყალდიდობების შედეგად დაახლოებით 150 ჰექტარი საძოვარი ქვა-ღორღით დაიფარა, 60 ჰექტარი ვენახი და 200 ჰექტარი სახნავი ფართობი დაიტბორა, ასევე – 3 მეცხოველეობის ფერმა და გლეხების საკარმიდამო ნაკვეთები. წყალი სამონასტრო კომპლექსისკენაც მიდის. ერთადერთი გამოსავალი მდინარე ალაზნამდე, 4-5 კმ მანძილზე მაინც, კალაპოტის გაწმენდაა.

ალავერდის მიტროპოლიტის მრჩეველი სამეურნეო საკითხებში გოგი ოტიაშვილი ამბობს, რომ ბოლო წლებში ხშირი წყალმოვარდნების შედეგად უწინარესად ტაძარი დაზიანდა.

**„თითეულ ადამიანს საკუთარი ნაკვეთი რომ აქვს და დაუზიანდება, იმ ადამიანისთვის ყველაზე მეტი ეგ არის, მაგრამ მთლიანად საქართველოსთვის და გარშემო სოფლებისთვის კი, ეს არის ტაძრისთვის მიყენებული ზიანი. ამ წყალდიდობების შედეგად, მდინარეს გასავალი რომ არ ჰქონდა, ხევის კალაპოტი ამოივსო, დრენაჟის წყლები ვეღარ გამოდიოდა, ტაძარი წყალზე დგას – დაობდა ტაძრის იატაკი, კედლები დაინესტა, ფრესკებს საფრთხე შეექმნა“**, – დასძინა გოგი ოტიაშვილმა.

ოტიაშვილი აცხადებს, რომ ალავერდის მონასტრის ტერიტორიაზე 1,5 მეტრის სიღრმეზე წყალი დგას. ამიტომ წყლის ამოსაქაჩად სადრენაჟო ოთხი ჭაა მოწყობილი. წყალი ნიადაგიდან მათი მეშვეობით იტუმბება. ჭებში წყლის დონის კონტროლი ვერ მოხერხდა, წყალი მონასტრის ტერიტორიას ტბორავს. ამბა-ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი საუბარში იხსენებს, რომ ერთხელ ასე მათ ღვინის მარნის სარდაფი დაეტბორათ. შემდეგ მარნის გასუფთავება ხელით მოუხდათ.

...სტიქია არა მხოლოდ უძველეს კულტურულ ძეგლს, არამედ მის მიმდებარე 7 სოფელს: იმერლიანთუბანს, ოჟიოს, კოლოთოს, ალავერდს, ჩაბინაანს და ზემო ხოდაშენს უქმნის პრობლემას. იქაურების საკარმიდამო, საძოვრები, თუ ვენახები უკვე არაერთხელ დაზარალდა. გლეხები შველას ითხოვენ.

**– წყალი რომ მოვარდება, ძირითადად პირველი დარტყმა ჩვენზე, იმერლიანთუბანზე მოდის. შემდეგ მიდის ალავერდში; წყალი რა ადგილზეც არ უნდა მოვარდეს, ალავერდს არ აცდება. პირდაპირ ჩადის ალავერდში; წყალი რომ ადიდდება, ბოსტნები, პირუტყვი, სიმინდის ყანები, ნათესები მიაქვს; ნაკვეთები გვიქვიანდება, ვეღარ შევდივართ მერე ასეთ ნაკვეთებში. იძულებული ვართ, სხვა სახნავი ადგილები ვეძებოთ. ასეთ დიდ ზარალში ვართ ჩაცვენილები. თუ მოგვხედავენ, კარგი იქნება...შარშან წყალი სარდაფებში შემოგვივარდა. თუ რამე გვქონდა, ფქვილები იყო თუ, კონსერვები იყო, თუ რაც იყო ყველაფერი გაგვიფუჭა. ქვევრები გაგვივსო ლაფით, - გულისტკივილით ჩივიან და ერთმანეთს საუბარს არ აცლიან იმერლიანთუბნელები. ისინი ასევე იხსენებენ, რომ ადრე მდინარის კალაპოტი ღრმა იყო. იწმინდებოდა. თუმცა იგი ადგილ-ადგილ გასულ წელსაც გააფართოვეს, მაგრამ ეს გლეხებს პრობლემას ვერ უხსნის.**

**„პრეზიდენტისგან, მთავრობისგან, გუბერნატორისგან, გამგებლისგან, რა ვიცი, თუკი ვინმე არსებობს, ყველას დახმარებას ვთხოვთ. მდინარეს კალაპოტი გაუკეთდეს, რომ არ გადმოარღვიოს და არ წაგვახდინოს“,** – ლამის იხვეწებიან იმერლიანთუბნელები.

დროულად უნდა შეფასდეს საფრთხე, რომელიც ალავერდის საძირკველს და მის უნიკალურ არქიტექტურას ემუქრება – მიიჩნევს ამბა-ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი. ნესტი კედლებზე ჯერ კიდევ შემორჩენილ ფრესკებსაც აზიანებს.

**„თუ წვეთით ზღვა შეიკრიბა, კოვზით იგივე ზღვა დაილია. პრობლემა თუკი ერთხელ დაიძვრება, პატარა ძალისხმევით, შრომით, შესაძლებელი იქნება რეგულირება, თუ თავიდან აცილება. თუ ღირებულია და წონადია, რასაც ჩვენ ვსაუბრობთ, მაშინ შესაძლებელია საკითხი დაისვას და გადაჭრის გზაც მოინახოს. თან აქ ლაპარაკია ღირებულ მემკვიდრეობაზე – ხალხი, სოფელი და მემკვიდრეობა. ორივეს სჭირდება ერთმანეთი: სოფელს მონასტერი, ტაძარს – მრევლი“,** – დასძინა მეუფე დავითმა.

...მოვარდნილმა მდინარემ მონასტრის მიმდებარე ტერიტორია გასულ ზაფხულსაც დატბორა. წყალი უძველესი გალავნის კედლებსაც მიწვდა. ბერები შველას მაშინაც ითხოვდნენ, თუმცა ერთადერთი ვინც მათ გამოეხმაურა, ჰოლანდიის პრინც კლაუსის ფონდი იყო. კომპლექსის გადასარჩენად პრინცმა 30 000 ევრო გაიღო. ამ თანხით მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარის კალაპოტი რამდენიმე მეტრის სიღრმეზე გაითხარა და ამაღლდა. განსაკუთრებულ ადგილებში კი განბიონებიც გაკეთდა, რათა მდინარემ კალაპოტი არ გადმოანგრიოს. ამ სამუშაოების შედეგად მდინარე რამდენიმე მეტრით მონასტრის გალავნის კედლებს მოსცილდა.

**...ექსპერტების თქმით, ტაძრის შესანარჩუნებლად გაცილებით დიდი ფინანსები და სახელმწიფოს მხრიდან ჩართულობაა საჭირო...**

ეკა ბახუტაშვილი,
თბილისი-კახეთი-თბილისი








პოზიცია

# როდესაც ქვეყანა ხელიდან გვეცლება

(მეხუთე გვერდიდან) პოლიტიკაში სუფთა ბიოგრაფიის, მოაზროვნე, სამართლიანი და ეროვნული ცნობიერების ადამიანები უნდა მოვიდნენ.

თანამედროვე სამყაროში საკმაოდ გავრცელებულია გამონათქვამი: „ფული და პოლიტიკა ბინძური საქმეა". ბიზნესმენმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თავისი უპრეცედენტო ქველმოქმედებით დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის. ფულით შეიძლება დიდი სიკეთის კეთება. ახლა ჯერი პოლიტიკაზე მიდგა.

მე, როგორც აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელი, მეცნიერი და მწერალი, ჩემი მორალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კავშირის წევრებთან ერთად, სრულიად ენთუზიაზმზე 2006 წლიდან კალმითა და ქუჩაში ხალხთან დგომით ყოველთვის პრინციპულად ვიდექი ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ინტერესების დაცვის სადარაჯოზე.

მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების დროს, რომელზეც ძირითადად დამოკიდებულია საქართველოს მომავალი ბედი, როდესაც ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, ქართულ პოლიტიკაში კვლავ უზნეობა და უსამართლობა ცდილობს შემოპარვასა და დამკვიდრებას, საფრთხე ექმნება „ქართული ოცნების" რეალურად განხორციელებას, ასეთ დროს არ გვრჩება მორალური უფლება, ვიყოთ ზედმეტად მოკრძალებულები და შორიდან შევყურებდეთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

აქედან გამომდინარე, 20 აპრილს, ქ. ბათუმში აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის წევრთა, სხვადასხვა ორგანიზაციისა და აჭარის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიერ ჩემს მიმართ წაყენებულ მოთხოვნას – როგორც პიროვნებამ, მივიღო აქტიური მონაწილეობა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში როგორც პოლიტიკოსმა – დიდი პასუხისმგებლობით ვლებულობ როგორც საზოგადოების დავალებას.

ჩემს მიერ განვლილი სუფთა გზა და მომავალი ნათელი გეგმები ქართული ეროვნული ინტერესების დასაცავად, ძლიერი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში აჭარის განსაკუთრებული როლის წარმოსაჩენად, საფუძველს მაძლევს, იმედი ვიქონიო ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერისა.

ჩემი მთავარი მიზანი იქნება, თანამოაზრეებთან ერთად ვუჩვენო ჩემს ხალხს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი პოლიტიკოსი, ხალხის რჩეული, რომ პოლიტიკა ბინძური საქმე კი არ არის, მას მხოლოდ უზნეო ადამიანები უფუჭებენ სახელს.

ჩემი პოლიტიკაში ყოფნით მომეცემა საშუალება, ჩვენი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, მათი მატერიალური და სულიერი სიჯანსაღისთვის ახლა უკვე სახელმწიფო დონეზე მზრუნველობისა, რასაც დღემდე, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, სრულიად ენთუზიაზმზე ვემსახურებოდი.

თუ რა ფორმით მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში, ეს უახლოეს დროში უნდა გაირკვეს.

რაც შეეხება „მამულიშვილთა კავშირს", იგი როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მომავალ არჩევნებში, ოპოზიციური ეროვნული ძალების გასამარჯვებლად, რომელსაც ამისათვის თავისი განსაკუთრებული სამოქმედო გეგმა აქვს.

მე პირადად, როგორც მომავალმა პოლიტიკოსმა, მზად ვარ მივიღო ჩვენს რეგიონში ნებისმიერი პოლიტიკური გამოწვევა და ვიბრძოლო გამარჯვებისთვის, „ქართველთა ოცნების" რეალურად განხორციელებაში საკუთარი წვლილის შესატანად, ეს არის – ღირსეული, ზნეობრივად მტკიცე და სამართლიანი, სულიერად და ეროვნული დოვლათით სავსე საქართველოს მშენებლობა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ მძიმე, მაგრამ დიდად საპატიო საღვთო და საერო გზაზე!

**ნიაზ ზოლქვაძე,**
ფილოსოფოსი, მწერალი, აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე.

ინფორმაცია

## „იმელის" შენობა რეკონსტრუქციის შემდეგ „მილენიუმის" სასტუმრო გახდება




**ყოფილი „იმელის" შენობა რეკონსტრუქციის შემდეგ კომპანია „მილენიუმის" სასტუმრო გახდება.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს" თბილისის მერიიდან აცნობეს, ამასთან დაკავშირებით გუშინ „დაბი გრუპის" აღმასრულებელი ხელმძღვანელი, აბუ დაბის შეიხ ნაიან მაბარაკ ალ ნაიანის წარმომადგენელი საქართველოში სემ ედუარდი და სასტუმროთა ქსელ „მილენიუმის" ვიცე-პრეზიდენტი მანფრედ სიმონსი ხელშეკრულებას მოაწერენ ხელს.**

**კომპანია „დაბი გრუპის" საკუთრებაა რუსთაველის გამზირზე მდებარე ყოფილი „იმელის" შენობა.**

**როგორც მერიაში აცხადებენ, შენობა სრულად შეინარჩუნებს ისტორიულ იერსახეს და იქნება ერთ-ერთი მაღალი დონის სასტუმრო, რომელიც თბილისის სტუმრებს მოემსახურება. ინვესტორი სასტუმროს მშენებლობაზე 40 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. მშენებლობაზე 100-ობით სამუშაო ადგილი შეიქმნება. სამშენებლო სამუშაოები ორ წელიწადში დასრულდება.**

**არაბეთის გაერთიანებული საემიროების დელეგაცია აბუ დაბის შეიხ ნაიან მაბარაკ ალ ნაიანის მეთაურობით საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ნაიან მაბარაკ ალ ნაიანი არის არაბეთის გაერთიანებული საემიროების უმაღლესი განათლების მინისტრი, საემიროების უნივერსიტეტის რექტორი, შპს „დაბი კონტრაქტინგის" და „დაბი გრუპის" თავმჯდომარე.**

## საქართველოში საპარლამენტო არჩევნებს ამერიკული ორგანიზაცია „ღია დემოკრატიის კომიტეტი" დააკვირდება

**საპარლამენტო არჩევნებზე გრძელვადიანი მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩამოსვლა დაიწყეს.**

**არჩევნებს ამერიკული ორგანიზაცია „ღია დემოკრატიის კომიტეტიც" დააკვირდება, რომლის წარმომადგენლები ჟურნალისტებს გუშინ „თბილისი მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე გაეცნენ.**

**კომიტეტის თანათავმჯდომარის ჯო ჯონსონის განცხადებით, მისიის მიზანს საქართველოში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება წარმოადგენს.**

**მისივე განმარტებით, დამკვირვებელთა უმეტესობა საქართველოში უკვე ჩამოსულია, ნაწილი კი 7-10 დღეში ჩამოვა. ჯონსონის თქმით, ამერიკული სადამკვირვებლო ორგანიზაცია საქართველოში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის მოწვევით იმყოფებიან.**

ინტერპრესი

დაკრედიტება

# კვლავაც ერთი ადგილის ტკეპნით



**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობაზე ბევრი ლაპარაკია და, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ზოგიერთი მომენტი მართლაც ლამაზად ჩანს, მოვალეთა რეესტრში მოხვედრილთა რიცხოვნობის ბოლო წლებში განუხრელი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი, სპეციალისტთა აზრით, დაბალი ეკონომიკური აქტივობაა.**

ეს რომ ასეა, ამას თუნდაც ნებისმიერი სახეობის ბაზარზე საქონლის ადგილწარმომავლობის გაცნობაც მეტყველებს: როგორც სასურსათო, ისე, ფაქტობრივად, ყველა არასასურსათო საქონლის უმრავლესობა იმპორტულია. ეკონომიკური, საქმიანი აქტივობის დაბალი დონის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიზეზია კომერციული ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რის გამო მეწარმეები მათი აღებისგან თავს იკავებენ, მეორე მხრივ კი ამ მიზეზით ბევრი მათგანი ხშირად გაკოტრების რეალური საფრთხის წინაშე დგება. ეს და კიდევ რამდენიმე სხვა მიზეზია, რაც, ექსპერტთა აზრით, აღსრულების ეროვნული ბიუროს „შავი სიების" წლიდან წლამდე ზრდას განაპირობებს: კერძოდ, არსებული მონაცემებით, დღესდღეობით მოვალეთა რეესტრში შეტანილ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მთლიანმა რიცხოვნობამ დიდი ხანია 60 ათასს გადააჭარბა (აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამ ნუსხაში ფიზიკური პირები სჭარბობენ). ამასთან, შარშან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 110,57 მილიონი ლარი გადარიცხა, რაც ბოლო სამი წლის წინანდელ თანხასთან შედარებით ათზე მეტჯერაა გაზრდილი!

სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ მოვალეთა რეესტრის ასე უპრეცედენტო ზრდა ათას და ორიათასლარიანი სამომხმარებლო კრედიტების გაცემის ბიუროკრატიული მექანიზმის გამარტივებაა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პარალელურად მომატებულია საპროცენტო განაკვეთები და საჯარიმო სანქციებიც გამკაცრებული. ვითარების შერბილების პერსპექტივა, ექსპერტების აზრით, კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებაა, რაც მომხმარებელს საგადასახადო ტვირთს შეუმსუბუქებს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს კომერციული ბანკებიდან გატანილი სესხების აბსოლუტური უმრავლესობა (90 პროცენტზე მეტი) ათას ლარზე ნაკლებია, რომელთა დანიშნულება, ეკონომიკური თვალსაზრისით, უკეთეს შემთხვევაში წვრილი ბიზნესის დაწყება-განვითარებაზე მიიმართება. ამდენად, დანარჩენი ათი პროცენტი უფრო სხვა მიზნებზეა გათვლილი, ეს ოდენობა კი ეკონომიკური აქტიურობის ასამაღლებლად აშკარად არასაკმარისია. ამდენად, გამოდის, რომ კომპანიები ვერ ახერხებენ თავისუფალი კაპიტალით ეკონომიკის სხვადასხვა დარგების კვებას. სასურველი ეფექტის მისაღწევად, სპეციალისტების აზრით, საჭიროა სამამულო საბანკო სისტემის გარკვეული დიფერენცირება, ვთქვათ, სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო, მსხვილ კრედიტებზე ორიენტირებულებად, შემნახველი ფუნქციის მატარებლებად და ა.შ. ეს კი, მათი აზრით, საქმეს მნიშვნელოვნად წაადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში კომბანკებისთვის ძირითადად სამომხმარებლო სესხებზე მუშაობა გაცილებით უფრო მომგებიანია, თუნდაც, მათზე დაწესებული ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, რაც იმდენად დიდ შემოსავალს აძლევთ, რომ სხვა „რაღაცეებით" „თავის ატკივება" არ ღირს. თანაც მათი შედარებით მცირე მოცულობის გამო ადმინისტრირებაც გაცილებით ადვილია და ნაკლებ წვალებასთანაა დაკავშირებული. ამასთან, ცხადია გრძელვადიანი კრედიტების გაცემა (ვთქვათ, სოფლის მეურნეობისთვის), სათანადო რესურსების დეფიციტისა და მაღალი რისკების არსებობის პირობებში, ძალთა გაცილებით მეტ დაძაბვას საჭიროებს, რასაც არცთუ ძლიერი ბანკები ნაკლებად ახერხებენ.

ეჭვი არ არის, რომ საბანკო სექტორის წარმომადგენლებმა ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი რისკების მქონე სექტორების (კერძოდ, აგრარულის, მსხვილი ბიზნესისა და ა.შ.) საფუძვლიანი დაკრედიტება დაიწყონ, მრავალი სპეციალისტი დიდი ხანია იმ პოზიციაზეა, რომ საამისო სტიმული მათ უწინარესად სახელმწიფომ უნდა მისცეს. ეს კი, ეროვნული ბანკის და მთავრობის ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენებას გულისხმობს.

ეს არამც და არამც არ არის იმის მოწოდება, რომ სახელმწიფო კერძო ბიზნესის წარმართვაში ჩაერიოს – ლაპარაკია მხოლოდ საამისოდ აუცილებელი ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმების ჩართვაზე, რაც კომერციულ საბანკო სექტორს მაინცდამაინც მიკროდაფინანსებაზე ორიენტირებულობას შეუცვლის. ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე თუნდაც ის გარემოება მიანიშნებს, რომ, კერძოდ, წლიდან წლამდე ერთ ადგილზეა გაჩერებული (ხშირად კი უკუსვლაც გვაქვს!) სოფლის მეურნეობის დარგების დაფინანსება. შედარებისთვის მხოლოდ ორი ციფრის მოყვანა შეიძლება: იმ დროს, როცა **ვაჭრობისთვის კომბანკების მიერ ბოლო წლებში გაცემულია დაახლოებით ორი მილიარდი ლარის კრედიტები, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისთვის ჯამური მაჩვენებელი... 50 მილიონ ლარს არ აღემატება (!)...**

ოდითგანვეა ცნობილი, რომ ვაჭრობა კატეგორიების ეკონომიკური მოღვაწეობის სფეროთაგან ყოველთვის გამორჩეული იყო მომგებიანობის მაღალი ხარისხით და სახსრების უფრო სწრაფი ტემპით ბრუნვის მხრივ. ამიტომ იყო, რომ კატეგორიების უდიდესი ნაწილი ისტორიის ხანგრძლივ მონაკვეთში ფართო მასშტაბით არც მრეწველობაში ერთვებოდნენ და არც სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში. გამონაკლისი მხოლოდ მკაცრი აუცილებლობით იყო განპირობებული. ამ მხრივ საქართველოში დაახლოებით ისევ შუასაუკუნოვანი მდგომარეობაა. სწორედ ამიტომაა, რომ სპეციალისტები მთავრობასა და ეროვნულ ბანკს ზემოქმედების გარკვეული ბერკეტების ამოქმედებისკენ მოუწოდებენ, რათა კომბანკებმა კაპიტალი მსხვილი ბიზნესისთვისაც და სოფლის მეურნეობის დარგებისთვისაც უფრო ადვილად მოსაპოვებელი გახადონ.

**ოთარ ტურაბელიძე**

ⓞ შიში

# ხალხოო, ეგენი მიშასაც გაგვიფუჭებენ!

გუშინ მზეს მთელი დღე თვალი არ მოუხუჭავს. ვიფიქრე, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ-მეთქი, და ვერის ბაღს მივაშურე. ძალიან მინდოდა, განმარტოებულად მყოფს ცხოვრების არარაობაზე მეფიქრა, მაგრამ ვინ მაცალა.

— გახსოვს ჯუბო, — ეუბნება სათვალიანი, წოწოლა მამაკაცი ჟღალწვერა მეგობარს (ისინი ეს წუთია, ჩემ გვერდით ჩამოსხდნენძ, — ერთ დროს ჩვენთან, მხედრიონში, ვინმე „ტილიკა“ რო მოღვაწეობდა?

— მოღვაწეობდა? — ეღიმება ჟღალას, — ჰო, როგორ არა, გუმისთასთან შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგე მაგან არ გააბრუნა?

— კარგი ერთი, სუ ხუმრობის ხასიათზე როგორა ხარ, — უწყრება წოწოლა.

— სისულელეს ნუ გამაგონებ და დავსერიოზულდები. ერთი ეგ მითხარი, ამ თაკარა ამინდში ტილიკია თაღლითი რამ გაგახსენა?

— შენ თაღლითი ეძახე და მილიონებს ვერ ატრიალებს? ჩვენ, სამშობლოსთვის თავგადაკლული მხედრიონელები, მათხოვრულ პენსიას შევყურებთ და ეგ კიდევ თურმე ფულებში ცურაობს.

— მერედა ვის აახია მილიონები, არ იტყვი?

— ეგ „ზარალას“ უნდა ჰკითხო (ხო გახსოვს, ისიც მხედრიონში მოღვაწეობდაძ, მას „ტილიკასთან“ ბიზნესი გაუერთიანებია და ორივეს ერთად დიდი მაყუთი დაუთრევიათ.

— შენც კაი ოღრაში ხარ, — შეტევაზე გადავიდა ჟღალა, — ეტყობა, მაგათთან წილს გადიხარ, თორემ საიდან უნდა იცოდე, რა მილიონები აქვთ?

— რა წილში, ტო, —იმშუშნება წოწოლა, — ეს ყველაფერი ამ დილას გაზეთში ამოვიკითხე.

— მერე იმ გაზეთში, სადაც ეგ წაიკითხე, ეწერა, რომ „ტალიკამ“ და „ზარალამ“ მილიონები მთვარეზე გასროლილი ინვესტიციების წყალობით დააგროვესო.

— არა, რას ამბობ, ამათ მთვარე საიდან ამოდის ან საით ჩადის, ეგეც არ იციან, უბრალოდ, შევარდნაძის დროს დაუწყიათ ბიზნესი, დაუგემოვნებიათ და რადგან მოსწონებიათ, სააკაშვილის პერიოდშიც აგრძელებენ ამ საქმეს.

— უჰ, რას მეუბნები, — შეიცხადა ჟღალწვერამ, — ეგ თახსირები სააკაშვილის პერიოდშიც ბედავენ მამაძაღლობას?

— შენ თახსირები გეგონოს და ტრამპის პარტნიორები ძე ყოფილან!

— ტრამპი ვილა ჩემი ფეხებია? —დაინტერესდა ნამხედრიონალი.

— ჩუმად, ნუ ყვირი, — შეშინდა თანამოსაუბრე, — ეგ ტრამპი ვიღაც ოხერი არ გეგონოს, ამერიკელი მილიარდერია, თანაც ჩვენი პრეზიდენტის პრიამოი ძმაკაცი.

— სააკაშვილის ძმაკაცი?

— ჰო, რა გიკვირს, მიშა ამერიკაში რო ჩადის, ჯერ ტრამპს ეწვევა ხოლმე და მერე, თუ დრო მორჩა — ობამას. ამჯერად თავად მიიწვია ტრამპი საქართველოში და სამეფო ლხინი გაუმართა. როგორც ამბობენ, მიშა ქეიფის დროს იმდენად გამხიარულებულა, რომ უცეკვია და ფეხი ულრძვია.

— ეგ ვერ მოსვლია კარგად, — წარბი შეუთამაშდა ჟღალას, — მე თუ მკითხავ, პრეზიდენტ კაცს მაგ ტილიანებისთვის თავი არც უნდა გაეყადრებინა. ეს ძალიან საშიშია.

— რისი გეშინია?

— არ ვიცი, რაიმე შარში არ გახვიონ (სააკაშვილზე გეუბნებიძ ეს პატიოსანი და ქვეყნის კეთილდღეობას გადაყოლილი კაცი.



— მაინც რაში უნდა გახვიონ? — არ ეშვება წოწოლა.

— თუნდაც კორუფციაში, ეგენი ისეთი მამაძაღლები ჩანან, ძმაო, ყველაფერს იკისრებენ.

— კორუფცია ხო გააგდო მიშამ და მასში როგორღა ჩაითრევენ?

— სწორედ ეგ მაფიქრებს, კაცმა თავი გაწირა, როგორც იქნა, კორუფცია დაიფრინა ქვეყნიდან და ახლა მაგათ უკან არ შემოაბრუნებინონ.

— ჰო, ამ გაზეთში ამის თაობაზე არის რაღაც მინიშნება.

— რაო, ტრამპის თაღლითობაში ეჭვი გვეპარებაო?

— არა, პირიქით, „ტალიკასა“ და „ზარალას“ ბიზნესთან შეკონტაქტებული სააკაშვილის პატიოსნებაში ეპარებათ ეჭვი.

— რამე საეჭვო გამოუჩხრიკეს?

— მეტი რაღა უნდა გამოუჩხრიკონ, ტრამპი, რომელსაც კონტრაქტით ბათუმის სასტუმროს მშენებლობაში 250 მილიონი დოლარი უნდა ჩაედო, ერთ ცენტსაც არ იხდის („ტალიკა“ და „ზარალა“ თურმე იქით აძლევენ ფულსძ. ჰოდა ეჭვის საბაბიც გაჩნდა, თუ ესენი რაღაცას არ მამაძაღლობენ, აგერ არ არის ჩვენი მილიარდელი ივანიშვილი, ეთქვათ და სულაც საჩუქრად აგვიშენებდაო.

— მართალი ხარ, — დათანხმდა ჟღალა, — როცა ასეთი ქველმოქმედი თანამემამულე გვყავს, გადამთიელთან რატომ უნდა ვიბიზნესოთ?

— ხო იცი, რატომაც, ივანიშვილი, ჯერ ერთ, სააკაშვილს პირველობას ეცილება, და მეორეც — რუსული ფული აქვს. მიშას ხასიათი მოგეხსენება, რუსული ფული ისე ეჯავრება, როგორც ვირს პიტნა.

— აი სწორედ მაგისი მეშინია, იციან მიშას სუსტი წერტილი (ამერიკული დოლარი დღეს რძეს ურჩევნიაძ და ზუსტად იქიდან აწვებიან. ეგენი თავად ხომ არიან თახსირები და მამაძაღლები და მიშასაც გაგვიფუჭებენ. აფსუს, რა პრეზიდენტი გვეკარგება — ზრდილი, გონიერი, ღონიერი, უწმინდესი და უპატიოსნესი ადამიანი!..

**ოტია ჩართოლანი**

ⓞ განუკითხაობა

# მთავრობის აგრესიული ნაბიჯები,

## ანუ პრივატიზებიდან ბუნების განადგურებამდე



**აგრესიული პრივატიზება, დაუმთავრებელი მშენებლობა და ბუნების უმოწყალოდ განადგურება — ეს არის საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების 8-წლიანი მოღვაწეობის შედეგი. თუმცა, მთავრობაში მოკალათებულ შეუდრეკელ ბიუროკრატებს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ შეაჩერებს. ისინი „პირველ ჩვენებას“ ბოლომდე მიჰყვებიან.**

აჭარის მთავრობა ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, სახელმწიფოს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთების მაქსიმალურად გასხვისებას გეგმავს. ამ მიზნით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში უკვე შედგენილია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და განსაზღვრულია მათი საპრივატიზაციო პირობებიც. როგორც სამინისტროში განმარტავენ, აჭარის მთავრობა დაინტერესებულ პირებს ტურისტული ინფრასტრუქტურის, ბინათმშენებლობის და სხვა დარგების განვითარების მიზნით განკუთვნილ ობიექტებს სთავაზობს.

იყიდება დასასვენებელი სახლი „ქობულეთი“ და მყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6-12 თვის ვადაში დაიწყოს არანაკლებ 200-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. პირობების თანახმად, სასტუმროში უნდა განთავსდეს ღია და დახურული აუზები, ჩოგბურთის მოედანი. ინვესტორი ვალდებულია, სასტუმრო კომპლექსი შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის ვადაში აამოქმედოს. ქობულეთში, აღმაშენებლის №313-ში განთავსებული შენობის ფართი 15 060.4 კვ.მ-ია, მისი საპრივატიზაციო ღირებულება 1 კვ.მ-ზე 100 ლარია.

იყიდება ასევე მიწის ნაკვეთები ფიჭვნარის ზოლში. მყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 6-12 თვის ვადაში დაიწყოს არანაკლებ 150-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა და კომპლექსი არაუგვიანეს 36 თვეში აამუშაოს. მიწის ნაკვეთის ფართობი 21 041 კვ.მ-ია და მისი საპრივატიზაციო ღირებულება 1 კვ.მ-ზე 100 ლარია.

აჭარის მთავრობა გეგმავს ასევე ქობულეთში, აბაშიძის ქუჩაზე უზარმაზარი მიწის ნაკვეთის (262 123 კვ.მძ გასხვისებას, რომლის საპრივატიზაციო პირობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფციის წარმოდგენაა.

როგორც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, შესაძლებელია ობიექტის მთლიანად, ან ცალკეულ ნაწილებად პრივატიზება (3-4 ჰაძ. პირობის თანახმად კი თითოეულ ნაწილზე არანაკლებ 120-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი უნდა აშენდეს. მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ღირებულება კი 1 კვ.მ-ზე 100 ლარია.

რაც შეეხება ბათუმში განთავსებულ 9 028 კვ.მ მიწის ფართობს, მისი საპრივატიზაციო ღირებულება 1 კვ.მ-ზე 100 ლარია. მყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6-12 თვის ვადაში დაიწყოს აპარტამენტების მშენებლობა, სადაც შენობის 20%-ში სასტუმრო განთავსდება.

რამდენიმე თვეში კი ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრის მშენებლობა უნდა დაიწყოს. ამ მიზნით, აჭარის მთავრობა 52 000 კვ.მ მიწის ფართობის გასხვისებას გეგმავს. მყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6-12 თვის ვადაში დაიწყოს მიწის ნაკვეთზე არანაკლებ 30 000 კვ.მ სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, მიწისქვეშა ავტოსადგომით. ობიექტის საპრივატიზაციო ღირებულება კი 1 კვ.მ-ზე 200 ლარადაა განსაზღვრული.

ზოგადად ასეთ აგრესიულ პრივატიზებას და შემდეგ დაწყებულ არანაკლებ აგრესიულ მშენებლობებს ძალიან დიდი ზიანი მოაქვს ქვეყნისთვის. ჯერ ერთი, რომ მყიდველთა დიდი ნაწილი ნაკისრ ვალდებულებას ვერ ასრულებს და დაუსრულებელი შენობები მრავალი წლის განმავლობაში სასტიკად ამახინჯებს ირგვლივ ყველაფერს. ამასთან, აგრესიულ პრივატიზებაში გამარჯვებული „აგრესიული“ მყიდველი არად დაგიდევს ბუნებას, გარემოს, ეკოლოგიას და უმწყალოდ ანადგურებს მიმდებარე ტერიტორიას.

უახლესი ასეთი შემთხვევა სწოედ რომ აჭარაში აღინუსხა. ხელვაჩაურში, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე ასწლოვანი ევკალიპტები იჭრება. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სულიკო მიქელაძის ინფორმაციით, ეს ღამის საათებში ხდება.

**„დანაშაულებრივი გარიგებების შედეგად, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, მარჯვენა და მარცხენა მხარეს, ნადგურდება საუკუნის წინათ გაშენებული ევკალიპტის ხეები. აღნიშნული ტერიტორიის ქალაქ ბათუმისთვის გადაცემის შემდეგ, კრიმინალური საქმიანობა ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურმა ზენიტში აიყვანა.**

**სქემა მარტივია — ევკალიპტის ხეებიდან 3-4 მეტრის დაშორებით გაიცემა უკანონო მშენებლობის ნებართვა, აშენებულ შენობას კი ხელს უშლის ევკალიპტის ხეები. რის გამოც ხეებს ხან შხამქიმიკატებით ახმობენ, ხან კი უმოწყალოდ ჭრიან“,** — აღნიშნა სულიკო მიქელაძემ.

მისი ინფორმაციით, ხელვაჩაურში პოლიციის შენობის მშენებლობის დაწყებამდე სულ მცირე 8 ევკალიპტის ხე მოჭრეს. **„თუ მოითხოვ ნებართვას, რის საფუძველზე გაიჩეხა, ნებართვა ვინ გასცა მწვანე ნარგავების განადგურებაზე — პასუხს ვერ მიიღებ, რადგან ძალადობრივი კუთხით უყურებენ ყველაფერს. მაქვს ძალა, რად მინდა ჭკუა — ეს არის მათი პოლიტიკა“,** — აღნიშნა სულიკო მიქელაძემ.

ევკალიპტის ხეების მოჭრით ხელვაჩაურს ეკოლოგიური საფრთხე ემუქრება, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე ჭაობებია, ევკალიპტის ხეები კი მიწიდან დიდი რაოდენობით წყალს იწოვს.

**გიორგი ბექაური,**
Presage.tv

ⓞ ინფორმაცია

# აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებში საშიშ ნიშნულამდე წყლის დონე დღეს მიაღწევს

**სამი დღის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონში, აგრეთვე თბილისში, ძლიერი წვიმაა მოსალოდნელი.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან სვეტლანა ნიორაძემ აცნობა, დილიდან წვიმს აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონში. დასავლეთ საქართველოში კი - რიკოთის უღელტეხილზე და ზესტაფონის რაიონში.**

**აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში წვიმის ნალექი კიდევ უფრო გაძლიერდება და 9 მაისს შედარებით შესუსტდება. წვიმაა მოსალოდნელი დასავლეთ საქართველოშიც.**

**ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებში საშიშ ნიშნულამდე წყლის დონე დღეს მიაღწევს, თუმცა სინოპტიკოსები განსაკუთრებულ შემთხვევებს არ ელოდებიან.**

**10 მაისიდან კი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე გამოიდარებს. დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსამდე გათბება, აღმოსავლეთ საქართველოში — 28 გრადუსამდე.**

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# განტევების გენერალი

## აფხაზეთში ეჭვი ეპარებათ, რომ ანქვაბზე თავდასხმა შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა შეუკვეთა

გამოძიებამ აფხაზეთის პრეზიდენტის თავდასხმაზე სულ უფრო მეტი და მეტი სკანდალი შეიძინა. ორი ეჭვმიტანილის თვითმკვლელობის შემდეგ აფხაზეთის გენერალურმა პროკურატურამ გამოაცხადა საქმის გახსნის შესახებ. დანაშაულის ორგანიზატორად გამოცხადებულია შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ალმასბეი კჩაჩი, რომელმაც თავი მოიკლა დაკავების დროს. მაგრამ ჩვენი მიმომხილველის განკარგულებაში აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლებიც უარყოფენ გამოძიების ოფიციალურ ვერსიას.

ეს ვერსია არის ის, რომ თავდასხმა ალექსანდრ ანქვაბზე იგეგმებოდა ჯერ კიდევ 2011 წლის აგვისტოში, საარჩევნო კამპანიის დროს. შემსრულებლები, რომელთა შორისაც დასახელებული არიან დაპატიმრებული ალხას ხუტაბა და რამზი ხაშიგი, თითქოს მოქმედებდნენ ალმასბეი კჩაჩის მითითებით. გენერალური პროკურატურის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია იმის შესახებ, რომ დასასვენებელი სახლის „კუდრის" ტერიტორიაზე, რომლის თანამფლობელიც იყო კჩაჩი, აღმოაჩინეს მიწაში ჩაფლული სამალავი. იქიდან ამოიღეს დრაგუნოვის 7,62 მილიმეტრი კალიბრის სნაიპერის შაშხანა, რომლითაც, გამოძიების ვერსიით, იგეგმებოდა ანქვაბის მკვლელობა 2011 წლის 17 აგვისტოს გალის რაიონის სოფელ ალახაძეში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს. იმავე სამალავში კრიმინალისტებმა აღმოაჩინეს კალაშნიკოვის 5,45 მილიმეტრი კალიბრის ხელის ტყვიამფრქვევი საბრძოლო აღჭურვილობით. „ყველა აღნიშნული იარაღი და საბრძოლო მასალა ჩამარხა 2012 წლის მარტში ამ დანაშაულის ერთ-ერთმა მონაწილემ ალმასბეი კჩაჩის მითითებით", – ამტკიცებს აფხაზეთის გენერალური პროკურატურა.

მაისის დღესასწაულების წინ ჩემს ელექტრონულ მისამართზე გამოიგზავნა დოკუმენტი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ ინფორმაციას. დასასვენებელ სახლ „კუდრის" მუშაკთა ეს განცხადება გაიგზავნა აფხაზეთის გენერალური პროკურორის მისამართით. მოგვყავს იგი მთლიანად.

„აფხაზეთის რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ს.ტ.მიკანბას დასასვენებელ სახლ „კუდრის", რომელიც გაგრის რაიონის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა „აფხაზიაში" მდებარეობს, ქვემოთ ხელისმომწერი თანამშრომლებისგან

### განცხადება

2012 წლის 26 აპრილს ჩვენ აფხაზეთის ტელევიზიით მოვისმინეთ ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ დასასვენებელ სახლ „კუდრის" ტერიტორიაზე აღმოაჩინეს და სამალავიდან ამოიღეს სნაიპერული შაშხანა, კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევი, რომლითაც, თითქოსდა, ეჭვმიტანილების ა.ხუტაბასა და რ.ხაშიგის სიტყვებით, აპირებდნენ აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ა.ზ.ანქვაბზე თავდასხმას.

ჩვენ ოფიციალურად და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ დასასვენებელ სახლ „კუდრის" ტერიტორიაზე ზემოთ ჩამოთვლილი იარაღი არ აღმოჩენილა და არც ამოღებულა, ხოლო თუ ამას ადგილი ჰქონდა, ამის შესახებ არც ერთმა ჩვენგანმა არაფერი იცოდა, ჩვენთვის ეს იარაღი არ უჩვენებიათ. ამიტომ ფაქტთან დაკავშირებით არც ერთი თანამშრომელი არ დაუკითხიათ.

1. ჟიბა არკადი შალიკოს ძე – დასასვენებელ სახლ „კუდრის" დირექტორის მოადგილე;
2. ხეცია ალუთბეი აზიზის ძე – მცველი;
3. შულაია ჟორა ხუტას ძე – მცველი;
4. გუბაზი ლავრენტი ფიჩოს ძე – დამცველი;
5. ნიკოგოსიანი ზურაბ არტემის ძე – დამცველი;
6. ბგანმა გურამ გიორგის ძე – მძღოლი.

27.04.2012 წ".

მართლაც, უცნაურია. საგამოძიებო ჯგუფმა შეაღწია დასასვენებელი სახლის დახურულ ტერიტორიაზე, ამოთხარა მიწა, ამოიღო იქიდან იარაღი, დაცვამ კი ვერაფერი შეამჩნია? 4 დამცველი, მძღოლი და დირექტორის მოადგილე ერთბაშად დაბრმავდა და დაყრუვდა? ამოთხრილმა მიწამაც არ დააფიქრა ისინი? თუ გამოძიებამ აკურატულად ეს ყველაფერი დაფლა მიწაში? ჯგუფი ხომ პატარა არ უნდა ყოფილიყო: საჭირო იყო თან წაეყვანათ ეჭვმიტანილებიც, რომ მათ ზუსტად ეჩვენებინათ ადგილი, სადაც დაფლეს იარაღი, რათა არავის არ გასჩენოდა ეჭვი, რომ მიწაში ეს იარაღი სწორედ მათ დამარხეს. ეჭვმიტანილების დაცვის გარეშე დატოვებაც ხომ არ შეიძლებოდა, ესენი კი კიდევ ხომ რამდენიმე კაცი იყო? ვინ იყვნენ თანამოწმეები, თუ დასასვენებელ სახლში მომუშავე ადამიანები საქმის კურსში არ არიან? თანამოწმეებიც მოიყვანეს თან, როგორც ეს პრაქტიკაშია ტერორისტულ საქმეებთან დაკავშირებული გამოძიებების დროს, როგორც ეს იყო ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, სადაც თანამოწმეებად გამოდიან სამხედრო მოსამსახურეები?

ერთი სიტყვით, კითხვა ბევრია. კიდევ მეტ შეკითხვას იწვევს ალმასბეი კჩაჩის ნათესავების „მიმართვა აფხაზეთის ხალხისადმი", რომელშიც გამოთქმულია ეჭვი, რომ მას თავი არ მოუკლავს. ნათესავების დამოწმებით, გენერლის გარდაცვალების დღეს სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომლებმა, როდესაც შევიდნენ მის ბინაში, დაკეტეს კარი შიგნიდან და ერთი საათის განმავლობაში იქ არ უშვებდნენ გარდაცვლილის ქვრივს, ყველა საგამოძიებო საქმეს ისინი აწარმოებდნენ მოწმეების გარეშე.

ამას გარდა ნათესავები გვარწმუნებენ, რომ გენერალმა გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მიმართვა ანიხაში ტაძრის მოძღვარს, რათა შეესრულებინა ფიცის წესი იმაზე, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია ანქვაბზე თავდასხმაში.

აფხაზებისთვის ფიცი ამ ტაძარში – მეტად სერიოზული საქმეა. მიაჩნიათ, რომ კაცი, ვინც იცრუებს ანიხაში, ხიფათს გადაკიდებს არა მხოლოდ თავის თავს, არამედ მთელ თავის სანათესაოსაც. სწორედ ასეთი ფიცის დადებას აპირებდა გენერალი კჩაჩი.

ვერ მოასწრო.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ



## დედამიწის ზურგზე

პროექტ „Planetsolar"-ის მონაწილეებმა დაამთავრეს დედამიწის გარშემო ცურვა უნიკალურ ხომალდზე – კატამარანზე მზის ბატარეით. იახტას 8 წელი ამუშავებდნენ, „დედამიწის გარშემო მოგზაურობა კი" 19 თვე გრძელდებოდა. მოგზაურობის დროს ხომალდმა დაახლოებით 60 ათასი კილომეტრი დაძლია, თანაც მხოლოდ მზის ენერგიით.



### იემენში განადგურებულია გამოკვლევის ფედერალური ბიუროს ვერსიის მსოფლიოს ათიდან ერთ-ერთი ყველაზე მეტად ძებნილი ტერორისტი

ამერიკის შეერთებული შტატები ფახდ ალ-კუსოს ეძებდა ერთ-ერთ ხომალდზე მომხდარი ტერორისტული აქტის ბრალდებით. იგი გარდაიცვალა 6 მაისს საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამსახურების რეიდის დროს. სამხედრო-საჰაერო ძალების ინფორმაციით „ალ-ქაიდის" გავლენიანი მეთაური მოკლეს რაკეტით. ავიადარტყმა მიაყენა უპილოტო თვითმფრინავმა, რომელსაც დაზვერვის ცენტრალური სამმართველო მართავდა.

### სირიაში პირველად ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს დემოკრატიული არჩევნები: ხმებს აძლევენ ხომსი და ხამაც კი



250 სავარძლისთვის სირიის პარლამენტში, რომლის ნახევარსაც ტრადიციულად გამოუყოფენ მუშებსა და გლეხებს, იბრძვის 7 ათასზე მეტი კანდიდატი, მათ შორის ქალებიც. არჩევნები გახდება „ღირსეული პასუხი ტერორისტების გამოწვევაზე", დარწმუნებული არიან ხელისუფლებაში. კენჭისყრის მიმდინარეობის გასაშუქებლად მოწვეულია უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების 200 წარმომადგენელი.

### ისრაელის პრემიერმა გამოაცხადა პარლამენტის ვადამდელი არჩევნების შესახებ



ნეთანიაჰუ ელოდება ხელისუფლების საზაფხულო კრიზისს და გამოაცხადა, რომ ქვეყანას არ შეუძლია წელიწადნახევარი დაკარგოს წინასაარჩევნო კამპანიაზე. კენჭისყრა მთავრობის უნდობლობის და პარლამენტის თვითდათხოვნის შესახებ შეიძლება მოხდეს ორშაბათს, არჩევნები კი – სექტემბერში.

### ბრაზილიაში ნაპირი გადმოლახა ამაზონკამ: ევაკუირებულია 74 ათასი ოჯახი



ზოგიერთ ადგილას წყლის დონემ ამაზონკაში 9 მეტრით აიწია. სტიქიური უბედურების მიზეზი ძლიერი წვიმები გახდა, რომლებიც არ წყდება მარტიდან. შტატის 32 ქალაქში გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. მედიკოსებს მასობრივი ინფექციების ეშინიათ.

### „ალ-ქაიდას" მიერ გატაცებულმა ამერიკელმა ობამას მიმართა: „მინდა ვიყო ჩემს შვილებთან, როგორც თქვენ ხართ თქვენს შვილებთან"

70 წლის უორენ ვაინდშტეინი გაიტაცეს პაკისტანში 2011 წლის აგვისტოში. „თქვენ თუ დააკმაყოფილებთ მათ თხოვნას, მე ვიცოცხლებ. თუ არადა – მე დავიღუპები", – მიმართავს ვაინშტეინი ობამას. „ალ-ქაიდა" მოითხოვს, არც მეტი, არც ნაკლები, გაათავისუფლონ სამი ტერორისტი და გადასცენ ბინ ლადენის ცოლები.

### რონ პოლმა, როგორც იქნა, მოიგო პრაიმერიზი ამერიკის ორ შტატში

მიუხედავად ამისა, ცოტა თუ ეჭვობს, რომ სწორედ მიტ რომნი გახდება რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი, თუმცა მას მხარი არ დაუჭირეს აქტივისტებმა ნევადაში და მენის შტატში. სხვათა შორის, არჩევნების დროს მას მოუწევს შეტაკება არა მხოლოდ ობამასთან.

◉ წლები და ამაგი

# ნახევარი საუკუნის წინათ, ნახევარი საუკუნის შემდეგ...

**კაკო „გუნდის კაპიტანივით“ გვყავდა, უფროსი იყო წლოვანებით და ხასიათიც საუფროსო ჰქონდა. თუკი ვკამათობდით, ზომიერად უნდა გვეხმაურა, ხანდახან, მცირე პურმარილი რომ გვქონდა და ომარ დოლიძე გიტარასაც ააჟღარუნებდა, კაკო ყველაზე ადრე დგებოდა სუფრიდან და გვიბარებდა, მალე მორჩით, მეზობლებს ნუ შეაწუხებთო.**

მაშ... ნახევარი საუკუნის წინანდელს ვიგონებ, ქობულეთის აღმართს და ყაჭეიშვილების ეზო-კარში გატარებულ სტუდენტურ დღეებს ვიხსენებ. აქ ქირით ვცხოვრობდით და ერთი გვქონდა ჭირი და ლხინი. რეზო ხვედელიძე, ნური ვერძაძე, რომან შენგელია, აწ გარდაცვლილი ზაურ წულაია, ლეილა კეთილაძე, ომარ დოლიძე, აკაკი ლაზარტყავა და თქვენი მონა-მორჩილი... შესანიშნავი სახლ-კარის პატრონები, შესანიშნავი ადამიანები, თუნდაც გვეხმაურა, ვინ რას გვეტყოდა, ბატონი კოლია ყაჭეიშვილი, ჩვენი ტოლ-სწორები – თამაზი და ვოვა, უკეთილშობილესი ადამიანები იყვნენ... კაკო აჩმახებდა ხოლმე... არადა, სწორი იყო, მომავალ ფილოლოგებს, იურისტებს უამრავი საქმე და სამეცადინო გვქონდა და კაკო იყო ჩვენი „კონტროლი“ და ყურისმგდებელი...



აკაკი ლაზარტყავას უკვე დაემთავრებინა იურიდიული ფაკულტეტი და კათედრის თანამშრომლად დაეტოვებინათ. მას უკვე თავისი პრინციპები, თავისი შეხედულებები ჰქონდა მრავალ ცხოვრებისეულ საკითხზე და ამ, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნიდან ჩამოსული კაცის სიტყვა, ხშირად, გადამწყვეტი იყო იურიდიული ფაკულტეტის ოფიციალურ სხდომებზე.

მერე ჩვენ-ჩვენი გზა განვაგრძეთ, ჩვენ-ჩვენი სათქმელის თქმას შევეცადეთ. აკაკი ლაზარტყავას კი უკვე ეპოვა თავისი ადგილი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მერე მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვას შევესწარით, ვამაყობდით და ვამაყობთ დღესაც მასთან ურთიერთობით. ჰოდა, ერთი სიამოვნება იყო, ამ რამდენიმე დღის წინათ, ჩვენს აკაკის საიუბილეო საღამო რომ გაუმართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ცოდნის ტაძარში, სადაც მან ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა და იურისტთა არაერთი თაობა დააფრთიანა.

საღამოზე თბილი სიტყვა არ დაუკლიათ აკაკისთვის გამომსვლელებს – მეგობრებს, ყოფილ სტუდენტებს, ცნობილ იურისტს, პროფესორ ლადო ჭანტურიას, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს და სხვებსა და სხვებს, რომლებმაც კარგად იციან აკაკი ლაზარტყავას, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის ფასი. იგი დღესდღეობით უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ძველი თაობის ერთადერთი წარმომადგენელია. არის ეკოლოგიური სამართლის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის და ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი...

...სითბო ახლდა იმ საღამოს, სითბო და პატივისცემა, რაც პროფესორმა აკაკი ლაზარტყავამ დაიმსახურა თავისი მოღვაწეობით.

...მე კი ნახევარი საუკუნის წინანდელი ქობულეთის აღმართი, ყაჭეიშვილების მყუდრო ეზო-კარი და იქ გატარებული დღეები მედგა თვალწინ, კაკო ლაზარტყავა რომ „გვპატრონობდა“ და ჩვენი სტუდენტობის წლებს ლაზათს მატებდა.

იცოცხლე, ჩვენო აკაკი!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ „ცეზიუმი“ კონტრაბანდით

# მაშინ, როდესაც პრეზიდენტი თავს იწონებდა...

**ცოტა ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამხრეთ კორეაში, სეულის ბირთვული უსაფრთხოების კონფერენციაზე თავს იწონებდა, რომ საქართველოს ძალოვანმა უწყებებმა ქვეყნის ტერიტორიაზე რადიაქტიური ნივთიერებების სერიოზული პარტია და მათი გადამტანები დააკავეს, სამიტის მონაწილეებმა ამას საქართველოს დიდი მიღწევა უწოდეს.**

...სწორედ იმ დროს თურქეთის ჟანდარმერიამ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ საქართველოდან თურქეთში გადავიდა ავტომობილი, რომელიც გერმანიის სანომრე ნიშნებით მოძრაობდა და გადაჰქონდა რადიაქტიური ნივთიერება. ის ანკარაში დააკავეს. მასში აღმოჩნდა ორ მინის ქილაში პლასტმასის კოლოფებში მოთავსებული რადიაქტიური ნივთიერება „ცეზიუმ-137“. დაკავებულია 3 თურქეთის მოქალაქე, რომლებიც სხვადასხვა დროს გერმანიასა და საქართველოში ცხოვრობდნენ და კონტრაბანდობისთვის იყვნენ ნასამართლევი.

თურქული მედიის ცნობით, რომელიც თურქეთის პოლიციის ინფორმაციას ეყრდნობა, კონტრაბანდისტებმა (მათი ვინაობა არ სახელდება) „ცეზიუმი“ რუსეთში შეიძინეს და საქართველოს გავლით თურქეთში შეიტანეს, სადაც მის გაყიდვას მილიონ დოლარად აპირებდნენ.

მომხდართან დაკავშირებით შსს-ს მაღალჩინოსანი შოთა უტიაშვილი აცხადებს, რომ მიმდინარეობს ამ საკითხის შესწავლა და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალების გახმაურება არ იქნება მართებული.

### როგორ მოხვდა საქართველოში „ცეზიუმი“

სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორის ირაკლი ალადაშვილის თქმით, საინტერესოა ეს რადიაქტიური ნივთიერება როგორ მოხვდა საქართველოში, რომელი სასაზღვრო გამტარი პუნქტი გამოიარა. სამხედრო სპეციალისტს ეს აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ჩვენი სასაზღვრო პუნქტები აღჭურვილია ისეთი უახლესი ტექნიკით, რომლებიც უმალ რეაგირებენ რადიაქტიურ ნივთიერებებზე. ხომ შეიძლება გავლის მომენტში დანადგარმა არ იმუშავა? – კითხვას სვამს ალადაშვილი და ამბობს – იქნებ საერთოდ სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გვერდის ავლით მოხვდა ნივთიერება ჩვენშიო. ჟურნალის მთავარ რედაქტორს მიაჩნია, რომ საკითხი ღრმა და დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

როგორც ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, რადიაქტიური ნივთიერებების არა მხოლოდ სახელმწიფოები არიან დაინტერესებულები, არამედ სერიოზული კრიმინალური დაჯგუფებებიც, რომლებიც ცდილობენ ამ ნივთიერებების „საქმეში ჩაშვებით“ აღასრულონ თავიანთი ბოროტი ზრახვები.

იგივე ექსპერტების აზრით, თუ ამ ნივთიერებამ მართლაც მთელი საქართველო გაიარა და დაუბრკოლებლად ჩააღწია თურქეთში, იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის და მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხებში სერიოზული სირთულეები და პრობლემები ყოფილა.



მათ ნათქვამს მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ „ნაცებს“ ქვეყანაცა და მოსახლეობაც ფეხებზე ჰკიდიათ. არჩევნები მოდის, მათ სკამებს უსაფრთხოება სხვა მხრიდან, ქვეყნის შიგნიდან ემუქრება. ჰოდა, იქითკენაც არიან გადართული.

◉ სისასტიკე

# პროკურატურას თავისივე მეთოდებით დაუპირისპირდნენ

**ქართულ მართლმსაჯულებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც გამომძიებლები, პროკურორები განსასჯელებს ჩადენილს ვერ უმტკიცებენ, მოითხოვენ მათგან აღიარებით ჩვენებებს, რის სანაცვლოდაც ჰპირდებიან საპროცესო გარიგებებს, სასჯელის ზომის შემსუბუქებას და ა. შ. შემდეგ კი, საწადელს რომ მიაღწევენ, ივიწყებენ დაპირებულს და აღიარებითი ჩვენების მიმცემებს საკმაო ხნით კეტავენ გისოსებს მიღმა.**

2010 წელს ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის დაკავებულმა მერაბ ყოლბაიამ ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე ადრე მიცემული ჩვენება უარყო და განაცხადა, რომ აღიარება მისგან პროკურორმა უხეში ფიზიკური და მორალური ზეწოლით მიიღო.

განსასჯელის ადვოკატის მათე ხარჭამაძის გადმოცემით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის შოკის მომგვრელი (პროკურატურისათვის) განცხადების შემდეგ ყოლბაიასთან მივიდა პროკურორის წარმომადგენელი და მოითხოვა მისგან ჩვენების (ზეწოლის შედეგად აღიარების მიღება) შეცვლა. ამას თან ახლდა სხვადასხვა დაპირებები.

ადვოკატის განცხადებით, ყოლბაია დათანხმდა შემოთავაზებულს, რადგანაც შეეშინდა, რომ მასავით ტერაქტის ორგანიზატორებისათვის დაკავებული ჯენერი მატკავას ბედი არ გაეზიარებინა. ამ უკანასკნელის შესახებ კი მისი აწ უკვე ყოფილი დამცველი გელა ნიკოლაიშვილი ამბობს, რომ ბოლო დროს იგი ძალიან ცუდად იყო, სასუნთქ აპარატზეც კი იყო მიერთებული. რამდენიმე დღის წინათ იგი ღუდუშაურის კლინიკაში გარდაიცვალა. ყოლბაია მატკავას შესახებ ამბობს, რომ მას პროკურორი საპროცესოზე უარის მიღების შემდეგ დაემუქრა, მე შენ მოგივლიო.

ხარჭამაძის განმარტებით, თავის თავში დარწმუნებული პროკურორი სასამართლოს სხდომაზე ელოდა რა ყოლბაიასაგან წინა ჩვენების უარყოფას, შეეკითხა – იყო თუ არა მასზე რაიმე სახის ზემოქმედება აღიარების მიღების დროს. განსასჯელის პასუხი იყო – დიახო.

ჩვენი მართლმსაჯულებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. ამის გამო იურისტები შიშობენ, ყოლბაიამაც არ გაიზიაროს მატკავას ბედი.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ მეცნიერება

# კიდევ რა აღმოჩენებია შესაძლებელი?

**თვალყურს ვადევნებდი ახალ ამბებს, რაც ანტარქტიდაში წყალქვეშა ტბა „აღმოსავლეთში“ ხდებოდა. საინტერესოა, რუსეთშიც თუ შეიძლება ისევ მოხდეს სენსაციური გეოგრაფიული აღმოჩენები, თუ ყველაფერი დიდი ხანია, რაც შესწავლილია?**

**ს.სიპოვიჩი, როსტოვი.**

**გვიპასუხებს რუსეთის გეოგრაფიის მასწავლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების გრანტის მფლობელი ალექსანდრე ლობჟანიძე:**

– გამოუკვლეველი ადგილები რუსეთში ბევრია. ჯერ ერთი, ესენია ალტაის, კავკასიის მთიანი რაიონები. იქ დღემდე არის ნაკლებად შესწავლილი გამოქვაბულები და ტბები, აგრეთვე პირველყოფილი ადამიანების სადგომები, ძველი საკერპეები. მეორეც, ტაიგა. მის ტერიტორიაზე უამრავი საიდუმლოებაა, დაწყებული ტუნგუსის მეტეორიტის საიდუმლოებით მოცული ჩამოვარდნის ადგილიდან (ამ ისტორიაში ჯერ კიდევ არ დაუსვამთ წერტილი) და დამთავრებული იმ ხალხით, რომლებიც ამ მიწაზე ცხოვრობენ. რა ღირს, თუნდაც, პატომის კრატერი – 40 მეტრის სიმაღლის გაურკვეველი წარმომავლობის ყრილი კონუსი ირკუტსკის ოლქის ტყის შუაგულში! ანდა, ვთქვათ, იმაზე, რომ ურალში არის ანომალიურად მაღალი გეომაგნიტური აქტიურობის ადგილები. ისინიც გამოსაკვლევია. რაც შეეხება მოსახლეობას, 1970-იან წლებში საიანის ტყეებში აღმოაჩინეს განდეგილების – ლიკოვების ოჯახი. მაშინ მათზე ბევრს წერდნენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ისინი არ არიან ტაიგის ერთადერთი მცხოვრებლები, რომლებმაც ცივილიზაციასთან კავშირი გაწყვიტეს.



მესამეც – რუსეთის ზღვების უზარმაზარი სივრცეები. შელფი, უწინარეს ყოვლისა არქტიკული, ცუდად არის შესწავლილი. დღემდე უცნობია, იქ ნახშირწყლების რა მარაგია. დასავლეთი ციმბირის ნავთობგაზის საბადოები იქ გასულ საუკუნეში აღმოაჩინეს, მაგრამ გეოლოგიური გამოკვლევები მეტყველებენ: კიდევ უფრო დიდი საბადოები, შეიძლება, არის აღმოსავლეთ ციმბირში.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

ჭიდაობა

# „კლასიკოსთა“ ფინური მონაგარი

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა კარგა ხანია, ოლიმპიური შვიდკაციანი ნაკრები დააკომპლექტეს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს კი ამ უქმეებამდე მხოლოდ სამი ლიცენზია ჰქონდათ: შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მანუჩარ ცხადაიამ (66) მოიპოვა ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლება, წლეულს მას ზურაბ დათუნაშვილი (74) და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი სოსო ჯაბიძე (96) შეუერთდნენ.** „კლასიკოსებმა“ ბოლო შანსი ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში გამოიყენეს: ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა რევაზ ლაშხმა (60ძ ხუთი შეხვედრა მოიგო – ზედიზედ დაამარცხა მაქსიმ მამულატი (მოლდოვაძ, ტონიმირ სოკოლი (ხორვატეთიძ, დავორ სტეფანეკი (სერბეთიძ, ფრუნზიკ ჰარუთინიანი (შვედეთიძ, სტიგ ანდრე ბერგი (ნორვეგიაძ და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ლაშხის მსგავსად, საქართველოს ლიცენზიები მოუტანეს ვლადიმერ გეგეშიძემ (84ძ და


გურამ ფერსელიძე

გურამ ფერსელიძემ (120ძ, რომლებმაც ოთხი წრე მშვიდობიანად გაიარეს და ფინალში გავიდნენ, რითაც ოცნება აისრულეს (გეგეშიძემ გადამწყვეტი პაექრობა ბულგარელ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ჰრისტო მარინოვთან დათმო, ხოლო ფერსელიძე ოლიმპიურ ჩემპიონ ჰასან ბაროევთან საჭიდაოდ არ გასულაძ. ქართველ „კლასიკოსთაგან“ ულიცენზიოდ მხოლოდ ქემალ ხარაბაძე (55ძ დარჩა.

**ლექსო ცინცაძე**

ძიუდო

# მანდილში „ოქრო“ აელვარდა

**ქართველი ძიუდოისტები ბაქოს „დიდ პრიზე“, მართალია, შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრნენ, მაგრამ ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სასიამოვნო კი ის იყო, რომ ჩვენს დელეგაციას ოქროს მედალი მძიმე წონაში ირინე ლეონიძემ მოუტანა. ჩვენებურმა ნახევარფინალში მასპინძელ რაფა იბადოვას აჯობა, ხოლო ფინალში ხორვატ ივანა მარანიცს მოუგო.**

ვაჟთაგან გადამწყვეტი ორთაბრძოლები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ გიორგი მესაბლიშვილი (60ძ და ბექა ბერძენიშვილი (100ძ, ხოლო ზებედა რეხვიაშვილი (73ძ, ლაშა ზურაბიანი (81ძ, ზვიად გოგოჭური (90ძ და ალექსანდრე მსხალაძე (100ძ ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

**ვაჟა ნოსირელი**

64 უჯრა

# VII. ორი კუ

**განსაკუთრებულ ძალას იძენს ღია პოზიციებში, როდესაც ფიგურების მოძრაობა პაიკებით არ არის შეზღუდული.**

იმ დროს, როცა მეტოქის მეფისაკენ „ქარიშხალი ბობოქრობს“ (ღია დიაგონალებზეძ, კუ სწორედ ღია დერეფნებისაკენ მიისწრაფის და დგება „იქ, სადაც ქარიშხალია“, რათა ცეცხლოვანი დარტყმებით ძირი გამოუთხაროს მოწინააღმდეგეს.

მოცემულ პარტიაში უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა ლონდონის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულს (1851ძ, ლეგენდარულ ანდერსენს და ჭადრაკის სახელმძღვანელოს პოპულარულ ავტორს ფრანგ დიუფრენს შორის.

თანამედროვეთა აზრით, ნებისმიერ ტურნირში შეიძლება მოიძებნოს ვარიანტების ორანჟირების ორიგინალური სახეცვლილება, რომელიც შორეულ წარსულში წარმოიშვა. ეს შეხვედრა 1852 წელს შედგა და ანდერსენის ეფექტური კომბინაციით დაგვირგვინდა. ამ პარტიის დაბოლოებას „უჭკნობი“ უწოდეს.

1852



1. ვ:e7+! – მ:e7 2. ლ:d7+! – მჳd7 3. ხf5+ – მჳe8 4. ხd7+ – მეფის ნებისმიერი სვლის შემდეგ 5. ხ:e7X

**მოამზადა თამაზ შენგელიამ**

წყალბურთი

# „სლოვიანკადან“ – მაქსიმუმით

**საქართველოს 19-წლამდელ წყალბურთელთა ნაკრები სახელოვანი სპორტსმენის – რევაზ ჩომახიძის ხელმძღვანელობით ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. ამ შეჯიბრებას 24-27 მაისს თურქეთი უმასპინძლებს.**

ჩომახიძის შეგირდებმა ამას წინათ საწვრთნელი შეკრება საბერძნეთში გაიარეს, ხოლო შემდეგ პოლონეთში საერთაშორისო ტურნირ „სლოვიანკას თასზე“ ითამაშეს. სტარტზე ქართველმა წყალბურთელებმა უკრაინელ თანატოლებს 12:6 (3:0, 1:2, 2:2, 6:2ძ მოუგეს, შემდეგ ზედიზედ დაამარცხეს ინგლისი – 8:5 (2:2, 3:2, 1:1, 2:0ძ, პოლონეთი – 17:14 (4:3, 4:4, 5:2, 4:5ძ, ისრაელი – 13:4 (5:0, 1:2, 4:1, 3:1ძ, ბელარუსი – 9:8 (1:2, 3:1, 1:1, 4:4ძ და 15 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს.

**ლაშა დიდია**



| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 5 | 5 | 0 | 0 | 59:36 | 15 |
| უკრაინა | 5 | 3 | 0 | 2 | 42:43 | 9 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 42:39 | 7 |
| ბელარუსი | 5 | 2 | 0 | 3 | 44:43 | 6 |
| ისრაელი | 5 | 1 | 2 | 2 | 37:45 | 5 |
| ინგლისი | 5 | 0 | 1 | 4 | 33:51 | 1 |

რაგბი

# ღირსეულთა კვარტეტი



**დასასრულს უახლოვდება საქართველოს მორაგბეთა 2012 წლის საგაზაფხულო გარდამავალი ტურნირი, რომელშიც ამერიმერის 12 გუნდი მონაწილეობს. ისინი ორ ჯგუფში არიან განთესილნი.** ჯგუფური ტურნირის დამთავრებამდე ტურით ადრე ნახევარფინალისტები ცნობილი იყო, გასულ უქმეებზე გამართულ ორთაბრძოლებს კი პლეი ოფების პირველ ტურში მასპინძელი გუნდები უნდა გამოევლინა.

**A ჯგუფში** თბილისის „ლელოს“ და საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელ „არმიის“ დრამატული პაექრობა ლელოელთა გამარჯვებით დამთავრდა – 22:21. ამ ჯგუფში დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „არმაზი“. „აკადემია“ 29:18, „ბათუმი XV“ – „ბაგრატი“ 50:19.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ლელო“ – 23, „არმია“ – 19, „არმაზი“ – 13, „ბათუმი XV“ – 9, „აკადემია“ – 5, „ბაგრატი“ – 4 ქულა.

**B ჯგუფში** ფავორიტად ქუთაისის „აია“ მიიჩნეოდა და რიონისპირელებმაც ქომაგთა იმედები გაამართლეს. ბოლო ტურში მათ შინ თბილისის „ლოკომოტივი“ დაჯაბნეს – 34:14 და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. თიხისი – „ჯიქები“ – 6:41, „ყოჩები“ – „ხარები“ 10:15. **საბოლოო მდგომარეობა.** „აია“ – 25, „ლოკომოტივი“ – 18, „ხარები“ – 13, „ჯიქები“ – 11, „ყოჩები“ – 5, თიხისი – 1 ქულა.

**ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:** „არმია“ – „აია“, „ლოკომოტივი“ – „ლელო“.

**გიორგი გაგუა**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**თბილისის „დინამო“ ერთადერთია დამოუკიდებლობის პერიოდში, რომელიც ეროვნული ჩემპიონატების სატურნირო ცხრილში საპრიზო სამეულზე დაბლა არ დაქვეითებულა. როგორც ჩანს, ამ ტრადიციას წლეულს დაესმება წერტილი.**

**პლეი-ოფის XI ტურამდე საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ბრინჯაოს მედლების მოპოვების შანსს, მაგრამ ქუთაისის „ტორპედომ“ მასპინძელთა ოცნებას ცივი შხაპი გადაასხა.**

**„დინამო“ – „ტორპედო“ 0:1**

**გოლი:** დათუნაიშვილი.

მართალია, სტუმრებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს, მაგრამ მთელი შეხვედრის განმავლობაში ძნელი იყო მათს უპირატესობაში დაეჭვება. საილუსტრაციოდ იმ ფაქტს დავასახელებთ, რომ „თეთრ-ლურჯებმა“ 90 წუთში ერთადერთხელ მოახვედრეს ბურთი რიონისპირელთა კარის ჩარჩოში. და ეს მაშინ, როცა მათ დისკვალიფიკაციამოხდილი გოგუა და ტრავმამოშუშებული მერებაშვილი დაუბრუნდნენ.

კიდევ უფრო რთული ამოცანა გადაჭრა წარმატებით ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „ზესტაფონმა“, რომელმაც რუსთავში წოდების შესანარჩუნებლად ყოფნა-არყოფნის ბრძოლა გადაიტანა.



**„მეტალურგი“ – „ზესტაფონი“ 0:2**

**გოლები:** გრიგალაშვილი, ოვონიკოკო.

შეგახსენებთ, რომ ახლახან ანალოგიური სცენარით განვითარდა მოვლენები ამავე მეტოქეთა სათასო ნახევარფინალშიც, სადაც საშინაო ზავის – 1:1 შემდეგ გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა ქვემო ქართლში „პო ზაკაზუ“ მოიგეს საპასუხო თამაში – 1:0 (გორგიაშვილიძ.

**დანარჩენი შედეგები:** „დილა“ – „კოლხეთი“ 5:1, „ბაია“ – „მერანი“ 2:1.

**სატურნირო მდგომარეობა ფინიშამდე 3 ტურით ადრე:** „მეტალურგი“ – 48, „ზესტაფონი“ – 46, „ტორპედო“ – 41, „დინამო“ – 37, „დილა“ – 34, „კოლხეთი“ – 26, „ბაია“ – 25, „მერანი“ – 18 ქულა.

**12 მაისს ითამაშებენ:** „ტორპედო“ – „მეტალურგი“, „ზესტაფონი“ – „ბაია“, „კოლხეთი“ – „დინამო“, „მერანი“ – „დილა“.

* * *

**იტალია.** „კალიარი“ – „იუვენტუსი“ 0:2, „ინტერი“ – „მილანი“ 4:2.

**ესპანეთი.** „გრანადა“ – „რეალი“ 1:2, „ბარსელონა“ – „ესპანიოლი“ 4:0.

**ინგლისი.** „ნიუკასლი“ – „სიტი“ 0:2, „მანჩესტერი“ – „სუონსი“ 2:0.

**ლიგის თასის ფინალი.** „ჩელსი“ – „ლივერპული“ 2:1.

**გერმანია.** „ბორუსია“ – „ფრაიბურგი“ 4:0, „კიოლნი“ – „ბაიერნი“ 1:4.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# „არმია“ ალღუმისთვის მზადაა

**სუპერლიგის მეოთხედფინალების მეორე სათამაშო დღე „არმიისა“ და „სამედიცინოს“ უთანასწორო ბრძოლით გაიხსნა. ძალოვნებმა ამჯერადაც წაივარჯიშეს – 114:76, სერია 2:0 მოიგეს და პლეი-ოფის მორიგ რაუნდს კვლავაც დაუმარცხებელნი ხვდებიან.**

**ყველაზე შედეგიანები:** რიჩარდსონი, ვუდსაიდი – 18-18 ქულა („არმია“ძ, ტომარაძე – 16 ქულა („სამედიცინო“ძ.

დანარჩენ წყვილებში მოვლენები დრამატულად განვითარდა და ყველაფერი „სოხუმის“ სპორტული



გმირობით, თსუ-ს „ძლევაი საკვირველითა“ და გიორგი ცინცაძის სოლო-პარტიით დასრულდა.

**„სოხუმი“ – შსს აკადემია 81:79 (სერიის ანგარიში – 2:0)**

**ყველაზე შედეგიანები:** ჯექსონი, მილოშევიჩი – 18-18 ქულა („სოხუმი“ძ, ბლერი – 31 ქულა (შსს აკადემიაძ.

**თსუ – „ქუთაისი“ 86:79 (სერიის ანგარიში – 1:1)**

**ყველაზე შედეგიანები:** ჩიკვილაძე – 29 ქულა (თსუძ, მათიაშვილი – 19 ქულა („ქუთაისი“ძ.

**„ოლიმპი“ – „დინამო“ 91:86 (სერიის ანგარიში – 2:0)**

**ყველაზე შედეგიანები:** ცინცაძე – 31 ქულა („ოლიმპი“ძ, სანაძე – 26 ქულა („დინამო“ძ.

ასერომ, ნახევარფინალში ერთმანეთს „არმია“ – „სოხუმი“ და „ოლიმპი“ – „ქუთაისი“ – თსუ-ს შორის გამარჯვებული დაუპირისპირდებიან.

* * *

**იტალიის „სერია-ა-ს“ რეგულარული სეზონი ქართული დუელით დასრულდა:** „ბოლონია“ – „კანტუ“ 66:65. გადამწყვეტი სამქულიანი ვიქტორ სანიკიძემ ბოლო წამზე ჩააგდო. მისი მონაგარია 11 ქულა და 12 მოხსნა, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილისა („კანტუ“) – 12 ქულა და 6 მოხსნა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სტიქია

## ქუთაისის მესხიშვილის თეატრში „წვიმს“

მესხიშვილის თეატრის სცენაზე 6 მაისს წყალი იმ დროს ჩამოვიდა, როდესაც იქ სპექტაკლი („შემოსავლიანი ადგილი“) მიმდინარეობდა.

როგორც სპექტაკლზე დამსწრე პირები აღნიშნავენ, წყა-



ლი თავიდან წარმოდგენის შემადგენელი ნაწილი ეგონათ. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მსახიობებს საგანგებო პირობებში მოუწიათ თამაში. თეატრში წყლის ჩამოსვლა იმ დროს შეწყდა, როდესაც გარეთ კოკისპირულმა წვიმამ გადაიღო.

მესხიშვილის თეატრის რეაბილიტაცია გასული წლის დეკემბერში დაიწყო. ხოლო რეაბილიტირებული თეატრი ქვეყნის პრეზიდენტმა 2 მაისს, ქუთაისობის დღესასწაულზე საზეიმო ვითარებაში გახსნა.

## თბილისში საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა

კავკას-პრესის ცნობით, ძველი თბილისის რაიონში ძლიერი წვიმის შედეგად საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა. ნგრევისას სახლში ერთი ადამიანი იმყოფებოდა, რომელიც სხვადასხვა დაზიანებით საავადმყოფოშია მოთავსებული. მისი მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა.

ბუხაიძის ქუჩაზე მდებარე სახლში ოფიციალურად 6 ოჯახი ცხოვრობს.



ეპიტაფია

# ალექსანდრე (საშა) ჩიკვაიძე

ალარ არის ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

ბატონი საშა.

ამ სახელითაც იცნობდა მას მთელი საქართველო.

იცნობდა, ეამაყებოდა და პატივს სცემდა.

წყნარად, უხმაუროდ, თითქოს ჩუმადაც გამოეთხოვა სიცოცხლეს ბატონი ალექსანდრე.



უცნაური ლოგიკა თუ დაუწერელი კანონია – უმრავლეს შემთხვევაში ადამიანები, რომლებმაც დიდი საქმეების კეთებით იცხოვრეს, ჩუმად მიდიან.

თითქოს უკვე დაწყნარებულნი.

ყველა ადამიანს თავისივე სიცოცხლე და ბედი თავადვე ეკუთვნის.

ის საქმეები გვეკუთვნის, რის გაკეთებასაც შევძლებთ ჩვენი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ არიან განსაკუთრებული ადამიანები, გამორჩეულები ბედითაც, ცხოვრებითაც და საქმეებითაც.

სწორედ ასეთი იყო ალექსანდრე ჩიკვაიძე.

დიდი საქმეების მხოლოდ და მხოლოდ სიკეთით და მართლაც გამორჩეული, უზომო პატიოსნებით შემოქმედი ადამიანი.

ჩიკვაიძეების ოჯახურ არქივში რა გამოლევს ბატონი ალექსანდრეს ფოტოებს, გადაღებულს მთელს მსოფლიოში – ინდოეთსა თუ ამერიკაში, ჰოლანდიასა თუ შვეიცარიაში, ლონდონსა თუ ათენში, ეკვატორზე თუ კილიმანჯაროსთან. ბატონი საშა უმაღლესი სინჯის პროფესიონალი დიპლომატი გახლდათ და ამის გამო ძლიერთა ამა ქვეყნისათა – პრეზიდენტებთან, მეფეებთან, დედოფლებთან, პრემიერ-მინისტრებთან უწევდა ურთიერთობა. გასაკეთებელი საქმეებიც, ამოცანებიც და გზაც ასეთი ჰქონდა – საქმიანობა მსოფლიოს რვა ქვეყანაში და ამ დროს კი ზრუნვა საქართველოზე.

რა გამოლევს ჩიკვაიძეების ოჯახის ალბომში საინტერესო ფოტოებს, მაგრამ მათგან ორი, ალბათ, მაინც საგანგებოა. ერთი 1963 წლის მაისშია გადაღებული ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინის წინ. განსაკუთრებული თითქოს არაფერია. ლამაზი ლოზე და გაეროს შენობის ნაწილის ფონზე ახალგაზრდა ბატონი საშა.

და მეორე.

დათარიღებული 1992 წლით. ისევ გაეროს შენობასთან. ზუსტად იმავე ადგილას, 29 წლის შემდეგ, ოღონდ სურათზე ლოზე უკვე აღარ არის – საქართველო უკვე გაეროს წევრია.

ბატონი საშა დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია და გაეროს შტაბბინის წინ იმ დღეს აღიმართა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული დროშა.

ზუსტად იმ ადგილას.

ალბათ, ამ ორ, ერთმანეთს 29 წლით დაშორებულ კადრს შორის ჩატეული ცხოვრება და ემოციაა ალექსანდრე ჩიკვაიძის სავიზიტო ბარათი.

იქნებ ამ 29 წელიწადზეც ფიქრობდა, თავის ოჯახსა და სამშობლოზე ფიქრთან ერთად, ბატონი საშა სიცოცხლის ბოლო წუთებში. შეიძლება უკვირდა კიდეც ის ქვეცნობიერი, რამაც 1963 წელს ზუსტად იმ ადგილას გადააღებინა უბრალო სურათი, სადაც სამი ათეული წლის შემდეგ მისი სამშობლოს დროშა აფრიალდებოდა და სწორედ მას, ალექსანდრე ჩიკვაიძეს, ერგებოდა ბედნიერება, საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში წარმოედგინა საქართველო ყველა ჩვენგანისათვის იმ ულამაზეს დღეს.

წავიდა ბატონი საშა.

დიდი საქმეები აკეთა. აკეთა სიყვარულით, ენერგიით, აღფრთოვანებით. ამ საქმეებით საქართველოს დიპლომატთა თაობები გაუზარდა, სიკეთე და პატიოსნება თესა, ქართველების უანგარო სიყვარული დაიმსახურა და უხმაუროდ წავიდა.

დიდი კაცები ჩუმად მიდიან.

ალიკო, ბატონი საშას უმცროსი ვაჟი, რომ არ წასულიყო ასე უდროოდ, ალბათ, კიდევ იცოცხლებდა ბატონი საშა. უნდა ეცოცხლა და სულ ბოლოს ასეთი დარდიანი არ უნდა ყოფილიყო.

შესანიშნავი, სამაგალითო ოჯახი დატოვა. არაჩვეულებრივი შვილიშვილებით დატვირთული. წინ კიდევ უამრავი, საინტერესოზე საინტერესო, ღირსეული და ბედნიერი ფოტო ელოდება ამ ოჯახის არქივს.

მეგობრები

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ცენტრის დირექტორს ბატონ ნიკოლოზ საკაშვილს მეუღლის

**სვეტლანა საკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ნათელა ლაღიძე, ლია ლომიძე, დალი ბოჯგუა, თამილა მაჭავარიანი, ნანა კეცხოველი, მადონა მგელაძე, ცისანა ჩიხლაძე, ლამარა გაგუა, აელიტა არჯევანიძე, მარო გონჯილაშვილი, ნაილი ბუჩუკური ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, გამოჩენილი ქართველი დიპლომატის



**ალექსანდრე ჩიკვაიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვილენ ალავიძე, ლამარა გაგუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ჭეშმარიტად დიდი მამულიშვილის, უდიდესი ქართველი დიპლომატის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის

**ალექსანდრე ჩიკვაიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ აწ განსვენებულის მეუღლეს ქალბატონ ზაირას და დამწუხრებულ ოჯახს.

სოსო კუხიანიძე, რომეო თუთაშვილი, დუგლას ქაჯაია, ქუზუ კალანდარიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი მამულიშვილი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

**ალექსანდრე (საშა) ჩიკვაიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გიორგი ნაჭყებია, აკაკი ბრეგაძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ აღიარებული პიროვნების

**ალექსანდრე (საშა) ჩიკვაიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

## ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი - თურქეთში

**ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი XIII-ე „მურსელ გულმეზ თეატროს“ დღეებს აღნიშნავს. ფესტივალი 2012 წლის 8-13 მაისს გაიმართება.**



ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი ფესტივალზე თურქეთში 7 მაისს მიემგზავრება. ისინი სპექტაკლს „წუნა და წრუწუნას“ (რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი) წარადგენენ.

ფესტივალის ფარგლებში ბულანჯაკის ხელოვნების თეატრის 25 წლის იუბილეც აღინიშნება. თეატრის იუბილისადმი მიძღვნილ დღეებში მონაწილეობას აგრეთვე, თბილისის „თავისუფალი თეატრი“ სპექტაკლით – „მექანიკური ფორთოხალი“ მიიღებს. საიუბილეო კვირეულში საბერძნეთის და ანკარის თეატრებიც მონაწილეობენ.

### განცხადება

**2012 წლის 30 ივნისს, დღის 12 საათზე შპს „სავაჭრო კომპანია გეოქემის“ ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, 0198, ჭირნახულის ქუჩის ჩიხი) გაიმართება ქიმიური ნივთიერებების საწყობის საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია რეგიონის ქიმიური ნივთიერებებით მომარაგების გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა.

საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი), ქ. თბილისი, გულუას ქ. 6;
- საწარმოს ადმინისტრაციაში – ჭირნახულის ქუჩის ჩიხი;
- სს „გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი“, ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 78.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებებისა და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

- ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 78. სს „გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი“.

**საკონტაქტო პირები: წულაია ჯემალი, ტელ: 239 60 41;**

**მურვანიძე ლაშა, ტელ: 593 32 01 23;**

**უბირია გენადი, ტელ: 579 02 01 10.**

**მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2012 წლის 25 ივნისი, დღის 12 საათამდე.**

შპს „სავაჭრო კომპანია გეოქემის“
ადმინისტრაცია

### განცხადება

ს/ს ელექტრონიკა-94 2012 წლის 30 მაისს, 14 სთ-ზე ატარებს აქციონერთა საერთო კრებას მისამართზე: გამსახურდიას გამზირი №14.

დღის წესრიგი:

1. სამეურნეო ანგარიში 2010 წლის 31 დეკემბრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

მომხ: გ. ჩიქოვანი.

2. ზოგიერთი სამეურნეო და ადმინისტრაციული საკითხი.

მომხს: ვ. ციხელაშვილი.

## დაიჯესტი

### წმინდა წიგნის ილუსტრატორი და კალიგრაფი



**ჰაგადას, ებრაელთა ძველი ეგვიპტიდან ამოსვლის წიგნს, ბიბლიის შემდეგ, ალბათ, ყველა სხვა კლასიკურ ებრაულ ტექსტზე უფრო ხშირად კითხულობენ.**

**სედერი – რიტუალური ტრაპეზია, რომელიც ებრაულ ოჯახებში სააღდგომო კვირის პირველ ორ საღამოს იმართება ეგვიპტიდან ამოსვლის ხსოვნის პატივსაცემად და ამ დროს ყოველთვის ჰაგადას კითხულობენ.**

მიუხედავად იმისა, რომ ჰაგადას ტექსტის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ჩამოაყალიბეს, ცალკე წიგნად იგი შუა საუკუნეებში იქცა. მაშინვე წარმოიშვა მისი ნახატებით გალამაზების ტრადიცია. მიჩნეულია, რომ მე-15 საუკუნიდან მოყოლებული მთლიანად ოთხი ათასზე მეტი ჰაგადაა შექმნილი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეგრეთ წოდებულ „ვაშინგტონის ჰაგადას“ უკავია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ უძვირფასეს ექსპონატს წარმოადგენს (სხვათა შორის, მისი სახელწოდება სწორედ აქედან წარმოიშვა). საერთოდ კი კონგრესის ბიბლიოთეკაში დაახლოებით 20 ათასი ებრაული წიგნია დაცული, თანაც მათგან ყველაზე ძველია თომას ჯეფერსონის პირადი ბიბლიოთეკიდან.

ვაშინგტონის ჰაგადაზე მუშაობა 1478 წლის 28 ივნისს დასრულდა. თარიღის გარდა, ერთ-ერთ პერგამენტის გვერდზე არის იმ კაცის ხელმოწერაც, ვინც ეს ფურცლები კალიგრაფიული ტექსტებითა და ხატოვანი მინიატიურებით გაალამაზა – ესაა „უმორჩილესი გადამწერთა შორის იოელ ბენ შიმონი“.

### „ნადირობა“... ობამასა და ბუშზე

**დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრმა ნაზირ აჰმედმა, რომელიც ისტორიაში პირველი მუსლიმანია, რომელსაც დედოფალმა პერის წოდება უბოძა, რამდენიმე დღის წინათ შოკის მომგვრელი განცხადება გააკეთა.**

13 აპრილს მან საჯაროდ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 10 მილიონი დოლარის გადახდის პირობა დადო იმ პირისთვის, ვინც ისლამისტური დაჯგუფების „ლაშქარ-ე-თაიბას“ („ჭეშმარიტ მორწმუნეთა ლეგიონის“) ლიდერის ჰაფიზ მუჰამად საიდის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის. საიდს ბრალს სდებენ 2008 წლის ნოემბერში ინდოეთის ქალაქ მუმბაიში მოწყობილ აფეთქებაში, რა დროსაც 166 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.



– ვაშინგტონის ეს გადაწყვეტილება მთელი მუსლიმანური სამყაროს შეურაცხყოფაა, – ცხარობდა ნაზირ აჰმედი პაკისტანის ქალაქ ჰარიპურში მის პატივსაცემად გამართულ მიღებაზე. – თუკი ამერიკის შეერთებულ შტატებს ასეთი პირობის დადების უფლება აქვს, მაშინ მეც შემიძლია 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის ჯილდოს დაპირება (დაახლოებით 16 მილიონი დოლარი) პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ამ პოსტზე მისი წინამორბედის ჯორჯ ბუშ-უმცროსის მკვლელად აყვანისთვის.

აღსანიშნავია, რომ ნაზირ აჰმედი დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის წევრია და დიდი ხანია ქვეყანაში ისლამურ თემთა ინტერესებს იცავს, თან რეგულარულად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც „ტერორიზმთან გლობალურ ომს აწარმოებს“, მაგრამ მისმა ამ განცხადებამ თანაპარტიელთა რისხვა გამოიწვია. არსებული ტრადიციით, მკაცრი გაკიცხვა ლეიბორისტებში მიღებული არ არის, ამიტომ ინციდენტის გარჩევის დასრულებამდე აჰმედს პარტიის წევრობა დროებით შეუჩერეს.

### თვალის ვარჯიში



**საგულისხმო რჩევას გვაძლევენ ოფთალმოლოგები: თუ მხედველობა დაქვეითებული გაქვთ, მაშინ ტექსტი ხან ერთი თვალით, ხან მეორეთი უნდა იკითხოთ და... თვალისჩინი მოგემატებათ.** კითხვა სათვალითაც შეგიძლიათ, რიგრიგობით ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ლინზაზე ქაღალდის აკვრით. თითოეული თვალით დღეში არანაკლებ ნახევარი საათისა უნდა იკითხოთ. თუ სათვალეს არ ხმარობთ, მაშინ „გაუქმებულ“ თვალზე შეგიძლიათ ხელისგული აიფაროთ. ასე კითხვის დროს მხედველობა გაგიუმჯობესდებათ როგორც ახლოს, ისე შორს ხედვის დროს.

### გეზი თბილი ქვეყნებისკენ

**ბრიტანელ სოციოლოგთა გამოკვლევით, ქვეყნის მოქალაქეთა 20 პროცენტს, ვისაც 250 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი ქონება აქვს, ემიგრირება უნდა.**

მაინც რით არ მოსწონთ ბრიტანელებს თავისი ქვეყანა? სოციოლოგთა მიერ დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხებით გაირკვა, რომ ამის მიზეზებია დამნაშავეობა და უწესრიგობები (60 პროცენტი), ცუდი კლიმატი (33 პროცენტი), ასევე ბიუროკრატია, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები, სიძვირე და სხვა ქვეყანაში მეტის მიღწევის შესაძლებლობა.

ქვეყნიდან ემიგრირების მსურველთა უმრავლესობა ახალგაზრდობაა, რომელსაც სხვებზე მეტად საფრანგეთი და ესპანეთი იზიდავს, სადაც დიდ ბრიტანეთზე გაცილებით თბილა და, მათი აზრით, მუშაობაც ნაკლებია საჭირო.

## მილოცვა

### რევაზ გერგედავა 60 წლისაა

ბატონო რეზო,

სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარულო, ადამიანებისადმი უშურველი სითბოთი განწყობილო, ნიჭით, ღირსებით, პატიოსნებით, სიკეთით სავსევ, ყველას დამხმარე და მხარში მდგომო, კაცობის სადარაჯოზე მდგარო, ერთგულო, უღალატო, ჭირსა და ლხინში საიმედო მეგობარო, ნადირობისა და ფეხბურთის ქომაგო, ხალასი იუმორის მატარებელო, ბრწყინვალე თამადავ, საამაყო მეუღლევ, მამავ და ბაბუავ, დარწმუნებული ვართ, რომ ცხოვრების მეორე ნახევარშიც ქართულად იცხოვრებთ, ქართულ საქმეს გააკეთებთ და აფხაზეთის შემომტკიცების სანუკვარ მიზანს ემსახურებით.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ზურაბ ერქვანია

## მწერლები და წიგნები

### „ანა კარენინა“, „ლოლიტა“ და სხვები

**ლევ ტოლსტოი, უილიამ შექსპირი, ჯეიმს ჯოისი, ვლადიმერ ნაბოკოვი, თევდორე დოსტოევსკი, უილიამ ფოლკნერი, ჩარლზ დიკენსი, ანტონ ჩეხოვი, გუსტავ ფლობერი – ეს ყველა დროისა და ყველა ერის ცხრა უდიდესი მწერალი მამაკაცია, რომელთა სიაში მეათე ნომრად ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის 125 ყველაზე ცნობილმა თანამედროვე მწერალმა ერთადერთი ქალბატონი, ჯეინ ოსტინი შეიყვანა.**



გამოკითხვის შედეგებით, რომელშიც მონაწილეობდნენ სტივენ კინგი, ენ პატჩეტი, ნორმან მეილერი, ჯოის ქეროლ ლოუთსი, ჯონათან ფრენზენი და კიდევ მრავალი სხვა სახელოვანი შემოქმედი, გასული ორი საუკუნის ათ-ათი უდიდესი ლიტერატურული ნაწარმოები დაასახელეს. კერძოდ, **XIX საუკუნის ნომერ პირველ ნაწარმოებად ლევ ტოლსტოის „ანა კარენინა“ დაასახელეს. მეორე ადგილი წილად ერგო გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარის“, ხოლო მესამე – კვლავ ლევ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“.** შემდეგი ადგილები ასე განაწილდა: მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“, ანტონ ჩეხოვის მოთხრობები, ჯორჯ ელიოტის „მიდლმარჩი“, ჰერმან მელვილის „მობი დიკი“, ჩარლზ დიკენსის „დიდი იმედები“, თევდორე დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ და ჯეინ ოსტინის „ემა“.

XX საუკუნის უდიდეს ლიტერატურულ ნაწარმოებთა ყველაზე გამორჩეულ რომანად მწერლებმა ვლადიმერ ნაბოკოვის ინგლისურად დაწერილი გახმაურებული „ლოლიტა“ მიიჩნიეს, რომელსაც ასევე წილად ერგო სიის მეათე ადგილი რომანისთვის „ფერმკრთალი ალი“. გასული საუკუნის მეორე ნომერ უდიდეს წიგნად ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის „დიდი გეტსბი“ აღიარეს, ხოლო შემდეგ კი მოდიან მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“, მერე კი ჯეიმს ჯოისი ორი რომანით „ულისე“ და „დუბლინელები“, გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელი“, უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“, ვირჯინია ვულფის „შუქურაზე“ და ფლანერი ო' კონორის „მოთხრობების სრული კრებული“.

დალი ხუნდაძე

## კადრი



## ანეკდოტები

**ჭიჭიკია ეუბნება ბიჭიკიას, – შანსი არ არის, რომ აწი ფოთში ჩავიდე. იმდენი თევზი მაჭამეს, იმდენი, რომ თოლიები აბაშამდე მომდევდნენო.**

* * *

**– ალო, არმენა სახლშია?**
**– არმენა ვანშია!**
**– ვაა, როდის ჩამოვა?**
**– დაიბანს და გამოვა რა...!**

* * *



**„ახალი“ ქართველი დაცვით, ჯიპებით, მთელი ამბებით ქალს მიაკითხავს მოსკოვში. კორპუსთან გადმოდის მანქანიდან და ყვირის:**
**– ზაიბალაა...! ზაიბალაა!**
**– იზაბელა, იზაბელა ვახტანგიჩ... ჩურჩულით უკარნახებს დაცვის უფროსი.**

* * *

**– ეს შავი კაცი ვინ არის? – ეკითხება ერთი მეგრელი მეორეს ზანგის დანახვისას.**
**– ალჟირელი ლტოლვილია.**
**– ხოხ! ალჟირიც დავკარგეთ, კაცო?**

* * *

**– გესმის, როგორ გალობს ბულბული?!**
**– კი იმღერებს ძამა, დოლარის კურსი მაგას არ აწუხებს და გამოხრული კბილი.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24